

დამოუკიდებელი საქართველო



La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

A O U T

1935—№ 116

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

შ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—კახაკების თვითგამორკვევა.

ავგისტოს აჯანყება.

გ. ჟურული—კავკასიის კონფედერაც. ირგვლივ.

ი. სალაყაია—წყნარ ოკეანეს პრობლემა.

უცხოეთის მიმოხილვა.

მეგობარი—ალექსი მდივანი.

—ა—ჩვენს ჩრდილო-კავკასიელ მეგობრებს.

ხ. ასათიანი—ოფისის გარშემო.

ნაური—წერილი ამერიკიდან.

ქართველები საფრანგეთში. და სსვ.

კ ა ზ ა კ ე ბ ი ს თ ვ ი თ გ ა მ ო რ კ ე ვ ე ბ ა

გასულ ორ თვეში—ინენისა და ივლისში—კახაკების ემიგრაციამ უცხოეთში აირჩია ორი სხვადასხვა ატამანი: ინყენური ბილი და გენერალი გრაბე, პირველი ყველა, ხოლო მეორე დონის, კახაკების სახელით. მართლაც ეს გარემოება გვეუბნება, რომ ამ ორ არჩეულთა პოლიტიკური პლათფორმა სხვადასხვაა, ერთმანეთს ეწინააღმდეგება ძირითადად და ჩვენც გვმართებს, მაშასადამე, ჩვენი აზრი ვსთქვათ მათ შესახებ.

ეს მით უფრო, რომ კახაკები ჩვენი მეზობლები არიან. უდიდესი და ყველაზე გათვითცნობიერებული ნაწილი კავკასიაში ცხოვრობენ, არიან კავკასიელი: ყუბანი, თერგი და მათი მომიჯნე დონი. ჩვენ ყელამდე დანტერესებული ვართ ვიცოდეთ, როგორია ამ ჩვენი მეზობლების სულისკვეთება, მისწრაფება, პერსპექტივები. რასაკვირველია, კახაკების ავან-ჩავანის გაგება მხოლოდ ადგილობრივ შეიძლება, მათ ქვეყანაში, ამიტომ ჩვენ არა გვაქვს კანდიერება აქედან, პარიზიდან, შვეიცარიაში და ვაგიგოთიკი. მაგრამ, რამდენათაც მათი ემიგრაცია, ასე ვსთქვათ, გამოხატავს თავის მოძმეთა ჭირ-ვარამს და მომავლის იმედებს, იმდენათ ჩვენ ვალდებული ვართ, ანგარიში გავუწიოთ მათ,—ეს, თუ გნებავთ, ჩვენი განმათავისუფლებელ ბრძოლის «ანგარიშშიც» შედის...

ბილი და გრაბე ორი სხვადასხვა პრინციპს გამოხატავენ: პირველი იცავს კახაკების, მთელი კახაკების, სრულს დამოუკიდებლობას, სახელმწიფო-

ბრივ უზენაესობას, ხოლო მეორე დონის მიერ თავის დროზე მიღებულ კონსტიტუციის ფარგლებში რჩება: დამოუკიდებლობა შინაურ საქმეებში და ფედერატიული კავშირი რუსეთთან, როცა იქ ბოლოშევიკები დაემხოებიან. განსვენებული გენ. ბოგავესკი, რომლის ადგილზე გენ. გრაბე აირჩიეს, როგორც ამბობენ, დიდ ანგარიშს არ უწევდა დონის კონსტიტუციას, ახალი ატამანი კი უკანასკნელს თავის მოქმედების გამოსავალ წერტილად აღიარებს.

სიტყვა ერთია, როგორც მოგვსენებათ, ხოლო საქმით ჯერ-ჯერობით ის დაგინახეთ, რომ გენ. გრაბეს დიდის ზეიმით ატამანად გამოცხადების დღეს, ავგისტოს დასაწყისს, რუსის მემარჯვენე და მემარცხენე ემიგრაციის წარმომადგენელნი დაესწრენ და აღტაცებით მიესალმენ მას. «პოსლედ. ნოვოსტი» ხომ თავიდანვე ხელმძღვანელობდა ატამანის არჩევნებს და ყოფილი კადეტი ეფრემოვი თავმჯდომარე იყო მთავარი საარჩევნო კომისიისა. ეს გარემოება გვარწმუნებს იმაში, რომ რუსები, მიტროპოლიტ ევლოგის ლოცვა კურთხევით, გენ. გრაბეს «ერთ და განუყოფელ» რუსეთის მომხრედ სთვლიან. დონის კონსტიტუცია, მართალია, ცოტათი აფრთხობს მათ, ამიტომ გაურბიან მის სხენებასაც, რადგან ფედერაციაც მის შემადგენელ ნაწილების ნებაყოფლობით დასტურს მოითხოვს, და ეს კი მართლაც დამაფიქრებელია!

რაც შეეხება ინყ. ბილის, მის ატამანად არჩევამოცხადებას არა თუ არ დაესწრენ, მტრულათაც

კი უყურებენ რუსები. სამაგიეროთ დაესწრენ მეზობლები და ეს თავის თავად დიდი რამის მაჩვენებელია: დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქართველი, ანერბაიჯანელი, სომენი, მთიელი მხურვალე თანაგრძობით ეგებებიან ახალ თანამებრძოლთ, კანაკებს, და ეს თავის თავათ გასაგებია.

მაგრამ არის მეორე ნიშნობრივი მხარეც ფაქტიური ხასიათისა, რომელიც იპყრობს ყურადღებას. მაშინ როდესაც გენ. გრაბეს ორგანიზაციაში თავი მოუყრიათ ყველა წარჩინებულთ: გენერლებს, შტაბის ოფიცრებს, ყოფილ დეპუტატებს, მაღალ მოხელეთ, მსხვილ მიწადმფლობელთ, ინჟ. ბილის ორგანიზაციაში თქვენ ვერ დაგისახლებენ ვერც ერთ ცნობილ პირს ვერც ჩინ-ტემლაკებით, ვერც დამსახურებით ტახტის წინაშე, ვერც სიმდიდრით წარსულში. ეს განსხვავება თავის დაღს ასვამს როგორც ერთის, ძეს მეორის დარახმულობას, პირველია ბიუროკრატიული, მეორე—დემოკრატიული, ხალხური.

მართალია, ემიგრაციაში სოციალურ განსხვავებაზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან დიდი უმრავლესობა გაჭირვებას განიცდის, მაგრამ იდეურათ, ან უკეთ—ფსიქოლოგიურათ სხვადასხვა წრის წარმომადგენელი, თავის და უნებურათ, დატოვებულ სამშობლოს სათანადო წრეებისამებრ გრძნობენ და აზროვნებენ. ეს სოციალური დიფერენციაცია უთუოდ არსებობდა ადგილობრივ, ესაა, თუ გნებავთ, ერთ-ერთი მიზეზი კანაკების დამარცხებისა. ვინ არ იცის, რომ წითლებთან ბრძოლის დროს კანაკებშიც შეიპარა ერთგვარი ბოლშევიზიანობა, ერთი და უფრო ახალგაზდა ნაწილი ეურჩებოდა ამ ბრძოლას. ჩვენ არ ვამბობთ კანაკთა შორის ჩასახლებულ გლეხებზე, ეგრედ წოდებულ «ინოვოროდნებზე», რომელნიც მასიურად მოსკოვის მომხრედ გამოვიდნენ.

მაგრამ მთავარი და უადრესი მიზეზი კანაკების დამარცხებისა იყო, რა თქმა უნდა, მათი ჩათრევა თეთრების ბრძოლაში წითლების წინამდევ, «ერთ და განუყოფელ» რუსეთის აღსადგენათ. ვინც ყურადღებით კითხულობს «ვოლნოე კანაჩესტვოს», რომლის რედაქტორი ინჟ. ბილი ასე თავგამოდებით იცავს დამოუკიდებლობის იდეას, მისთვის ცხადია ამ საბედისწერო სისხლიან ეპოპეის სარჩული და მიზეზები. სწორეთ ის ხალხი, რომელიც შემოკრებილია გენ. გრაბეს ირგვლივ, ისახავდა, ალექსევდნიკინთან და მთელ ლიბერალურ რუსეთთან ერთათ, წითლების დამარცხებას მიზნად და ამისთვის ბაზად კანაკების სამშობლო გამოიყენეს. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს ხალხი, კანაკების ზედა-

ფენი, დაჯილდოებული და გამდიდრებული რომანოვების ფრთის ქვეშ, შეუშინდა რევოლუციას და მონდომა თეთრებთან ერთათ ძველი მდგომარეობის აღდგენა.

საშინში მართლაც ბევრი რამ იყო. რევოლუციის დასაწყისს კანაკებში დიდ ხალხურ მოძრაობას ჰქონდა ადგილი, ყუბანში და დონში პარლამენტებიც (კრუგ) კი მოიწვიეს. თავისი მთავრობები გაიჩინეს, დონის დელეგაცია ბერლინს ეწვია კიდევ ომის დროს, ყუბანის დელეგაცია პარიზში ჩამოვიდა ომის შემდეგ. მართალია, მათ დამოუკიდებლობა არ გამოუცხადებიათ ფორმალურათ, მაგრამ სეპარატიულ მიდრეკილების გამარჯვება აშკარა ხდებოდა დღით დღე. რაც შეეხება პრივილეგიების გაუქმებას და ქვეყნის დემოკრატიზაციას, ეს უკვე ფაქტი იყო...

და ეს დიდებულათ დაწყებული საქმე მოსკოვთან შებრძოლებამ ჩაფუშა. აუწერელია და საშინელი ის შურისძიება, რომელიც გამარჯვებულმა ბოლშევიკებმა იყარეს კანაკებზე. ნურვინ დაიჩემებს, ნურც ჩაგრულნი ერნი, რომ მათ გადასთოდეს ისეთი ჯოჯოხეთური სასჯელი, როგორც იგემეს კანაკებმა! და რისთვის? იმისთვის, რომ ისინი ჩაერიენ სამოქალაქო ომში მოსკოვის წინამდევ. ჯერ ერთი, კანაკებს ხომ ისედაც მეფის და ტახტის დარაჯის სახელი ჰქონდათ, სამართლიანათ თუ უსამართლოთ, მიკერებული, —აქედან რამდენათ უფრო ადვილი უნდა ყოფილიყო ბოლშევიკებისთვის მათი დემიწის ზურგიდან აღგვის ცდა!

მაგრამ სწორეთ შტრის ეს მხეცური მძვინვარება იწვევს დამოუკიდებლობის იდეის გაძლიერებას კანაკებში. რუსის ლიბერალებს შეუძლიათ, რა თქმა უნდა, განაგრძონ თავისი გალაშქრება, ხშირათ დაცინვაც კანაკების ეროვნულ მისწრაფებაზე: ისინი რუსები არიან, ცალკე ერს არ წარმოადგენენ—გაიძახიან ისინი—, თითქო არარუს ერების დამოუკიდებლობას ექმნავებოდენ ამით! ჩვენ არ გვინდა ამ ქამად ამ ფრიად საყურადღებო საკითხს შევეხოთ, ვიტყვიტ მხოლოდ, რომ კანაკები დიდათ განსხვავდებიან თავის ისტორიით, ზნე-ჩვეულებით, ტრადიციებით რუსებისაგან. თითქო ქვეყნიერებაზე არ არსებობდეს ერთ ენაზე მოლაპარაკე ორი თუ სამი სახელმწიფო! ეკონომიურნი შესაძლებლობანი დიდაა კანაკების ქვეყანაში; რაც შეეხება პოლიტიკურ უნარს, ისინი რომ რუსის გლეხებზე უფრო მაღლა დგანან, ეს უკვე დაამტკიცეს საკუთარ მართველობის შექმნის დროს, სანამ მოსკოვიტებმა არ განადგურეს ისინი.

მაგრამ განადგურებულნი ირახმებიან და ხელს



გვიწვდნენ სხვა ჩაგრულ ერებს სამღვთო კავშირისთვის საერთო მტრის შესამუსრავათ. ჩვენ, კავკასიონი, მით უფრო მტკიცეთ ჩამოვართმევთ გამოწვდილ ხელს, რომ კანაკები ჩვენს საზღვრებზედ ფრონტს იბრუნებენ ჩრდილოეთისკენ, ესე იგი, თუ ცარიზმს მათი ფრონტი ჩვენს წინაამდევ კქონდა ამართული, დღეს ისინი მას რუსეთის წინაამდევ აღმართვენ!

ჩვენ ვიცით, რომ თერგის კანაკებს აქეთ საზღვრების სიძნელენი ჩვენ მოკავშირე მთიელებთან, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ამ დავას ისინი მშვიდობიანათ და მეგობრულათ გადასწყვიტენ. ჩვენი, სხვა კავკასიელების, მოვალეობაა დავებმართო მათ ამ საქმეში, სად და როგორ ამას თვითონ მოიხურებენ.

ჩვენ ისიც ვიცით, რომ ჩვენი თანამებრძოლენი

ს ვ ვ ი ს ტ ო ს ა ჯ ა ნ ქ ე ბ ა

ქართველი ერის ისტორიაში 29 აგვისტო ერთი დაუვიწყარი თარიღთაგანია. მისი მნიშვნელობა არ განისაზღვრება მარტო იმ სისხლიანი დღეებით, რომელიც მას მოყვა. უცხო ქვეყნიდან ბარბაროსულად შემოჭრილმა ხელისუფლებამ და ქართველი ერის მახინჯმა შვილებმა, ერისა და ქვეყნის გაცემითა და გაყდვით თავი რომ ისახელეს, შური იძიეს აჯანყებაში დამარცხებულ ქართველ ხალხზე: მთელი ქვეყანა სისხლის ტბათ აქციეს, საუკეთესო მამულიშვილები, ერისა და სამშობლოს უანგარო მოამაგენი ათასობით ლაჩრულად დახრცეს, ათი ათასობით ჩეკის სარდაფებში გამოამწყვდიეს ან რუსეთის შორეულ სასაქლოებზე წარგზავნეს; უდანაშაულო ბავშვებიც კი არ დაინდვეს და შავითა და ძაძით შემოსეს ვერაგულათ მოტაცებულ ეროვნულ თავისუფლების დასაბრუნებლად ამდგარი ერი. ყოველივე ეს მოსალოდნელი იყო: თავისუფლების მოპოვება უმსხვერპლად შეუძლებელია; ვისაც მსხვერპლის ეშინია და მისი გაღება არ შეუძლია, იგი დაუსრულებელ მონღოლვანი დაღვეს სულს და სამარცხვინოდ აღიგვება ამა ქვეყნიდან.

1924 წლის 29 აგვისტოს უმთავრესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ გაჭირვებისა და ეროვნულ დამცირების ტალკვესიდან ამ დღეს მოწყვეტილი ნაპერწკალი განმათავისუფლებელ ბრძოლის დიდ კოცონად გადაიქცა და მთელ ქვეყანას ელვისებური სისწრაფით მოედო: მოხუცი და ახალგაზდა, ქალი და კაცი—სიღარიბეში და დამცირებაში გათანასწოებული მთელი ქართული მოსახლეობა ერთსალოვანი გაბედულებით და მტკიცე ნებისყოფით ჩება უთანასწორო ბრძოლაში.

საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ თავის ცნობილ მოღვაწეების პირით ამცნო მთელს ქვეყნიერებას, რომ ის, «ვინც ჩაგრაგს ერს, ხდება ყველა ხალხების მტრად. კიდევ მეტი, ის არის ყაჩაღი, რომელიც შეურაცხყოფას აყენებს მთელ კაცობრიობას». და აი «ხალხთა ამ მტრის», «კაცობრიობის შეურა-

უკრაინელნიც იჩენენ ერთგვარ თავშეკავებას ყველა კანაკების ერთ სახელმწიფოს სახურავ ქვეშ ყოფნის შესახებ. ეს კითხვა ფრიად რთულია და მომავალში შეიძლება თავსამტკრევიც გახდეს, მაგრამ დღეს-დღეობით, განმათავისუფლებელ ბრძოლის ხანაში, მას უფრო თეორიული მნიშვნელობა აქვს, ვინემ პრაქტიკული. სწორეთ ამიტომ უკრაინელი ასეთი მსურველებით ეგებებიან კანაკების განმათავისუფლებელ ეროვნულ მოძრაობას.

ამრიგათ, ორი აზრი არ არსებობს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კანაკების ეროვნულ თვითგამორკვევას მრავალ-ერიან საბჭოთა კავშირში. ჩაგრულ ერებს ერთი მოკავშირე კიდევ გვემატება, რომელიც ასე გამირულათ ებრძოდა და ებრძვის მოსკოვიტების ბატონობას, კეთილი იყოს მისი ჩაბმა საერთო ფერხულში.

ცხმოველ ამ ყაჩაღის» წინაამდევ წამოწყებულმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლამ გამოქედა დაჩაგრულ ქართული ერის ერთობა და განსაცვიფრებელი ერთსულოვნება, რომელმაც თავის განსახიერება კპოვა მთელი ერის აჯანყებაში.

ასეთი ერთსულოვანი აჯანყება მთელი ერისა არ შეიძლება ვინმეს დაკვეთით მოხდეს ან ავანტიურის მოყვარულთა საქმიანობის შედეგათ მოვიდეს. ჩვენი ქვეყნის ეროვნულმა პარტიებმა დამოუკიდებლობის კომიტეტი შექმნეს არა აჯანყების ხელოვნურად მოსაწყობად და ქართველი ხალხის საშიშ ავანტიურაში გადასახეხად, არამედ ხელმძღვანელობის გასაწევად და მწყობრი ხასიათის მისაცემად იმ აჯანყებისთვის, რომელიც აუცილებელი გახდა წყალობითა დამპყრობელის სისასტიკისა და ვერაგობის.

აჯანყება დამარცხდა, მაგრამ ამით არ მომკვდარა და არც მოკვდება ეროვნული იდეა, ქართველ ხალხს რომ სულს უდგამს და მომავლის იმედით ავსებს. ერი, რომელმაც წყურთა თავისუფლება და იცის მისთვის ბრძოლა, ძალუძს მისთვის შიძიმ მსხვერპლის გაღება, ადრე თუ გვიან მოიპოვებს მას და თავს დაიხსნის უცხო უღლისგან.

1924 წლის აჯანყებით ქართველმა ხალხმა აუწყა მთელს კაცობრიობას, რომ იგი თანამედროვე ერია, მას შეცნობილი და შესისხროცებელი აქვს თავისი ეროვნული «მეობა» და არ მოისვენებს; ვიდრე არ დაიბრუნებს უცხო ტყვეობაში ჩავარდნილ თავის «ცა ფირუხ, ხმელეთ ზურმუხტ» სამშობლოს; ვიდრე არ აღიდგენს თავის ეროვნულ სუვერენობას და არ გახდება თავისუფალ ერთა ოჯახის სრულ უფლებიანი წევრი თავის საკუთარი კულტურითა და თავისი საკუთარი ეროვნული სახით.

ბრძოლა გრძელდება... დამპყრობელთა სიმკაცრე ვერ გტუნს ქართველი ხალხის მტკიცე ნებისყოფას და ვერ ჩაკლავს მის მისწრაფებას ეროვნულ თავისუფლებისადმი!..



კავკასიის კონფედერაციის კითხვების ირგვლივ

(საგულისხმო პარალელები)

I.

«დამარცხება გვეერთებს, გამარჯვება გვთიშავს», ამბობს ანდრე მოროა ერთს თავის წიგნში. ვინც ქართველ ემიგრაციის ყოფას დააკვირდება, ალბად, დაასკვნის, რომ ქართველები ევროპაში დიდად გამარჯვებულნი ჩამოვსულვართ. ჩვენი საარაკო დაქსაქსულობა და ძალების გათიშვა სწორედ ამას უნდა მოასწავებდეს ბ. მოროას გამოთქმით!

მაგრამ, იქნება, სხენებული ფრანგი მწერლის ანდაზათ ნათქვამი არც ისე იყოს სიმართლეს დაშორებული, როგორც ეს ერთის შეხედვით გვეჩვენება.

რასაკვირველია, ჩვენ აქ, უცხოეთში, გამარჯვებულნი კი არ გავჩნდით, არამედ სასტიკად დამარცხებულნი და, იქნებ, სწორედ ამითი აიხსნება ის საწუგვემო მოვლენა, რომ დანაწილებულნი - სახიროკედლო კითხვებში, ქართველი ემიგრაცია გაერთიანებულა უმთავრეს საგანში—საქართველოს დამოუკიდებლობის კითხვაში. საბედნიეროდ, არის კიდევ ერთი რამ, რაც კვლავ გვეერთებს ყველა ქართველებს,—რა მიმართულებისაც უნდა იყოს იგი, რა ტიპიკონსაც იწამებდეს და რაფერისაც იყოს.

ეს არის კავკასიის ერების პოლიტიკურად ერთად თავის მოყრა, ერთიან კონფედერაციის ფარგლებში.

კონფედერაციის საკითხი მით უფრო დიდ მნიშვნელოვანი გამოდგა, რომ იგი ამყარებს ერთსულოვნობას და ერთაზროვნობას არა მხოლოდ ქართველთა შორის, არამედ ყველა კავკასიის რესპუბლიკებს შორისაც; უკედ ვსთქვათ,—თი თქმის ყველა კავკასიელთა შორის, რადგან თუ აღიარებჯანი, მთა და საქართველო,—გადაწყვეტილი აღიარებენ კონფედერაციის შექმნის აუცილებლობას და მათი პასუხისმგებელი პოლიტიკური მოღვაწენი სათანადო აქტს ხელსაც აწერენ,—მეოთხე ჩვენი მეზობელი რესპუბლიკის სომხეთის წარმომადგენლნი კიდევ თავს იკაფებენ, არ აღიარებენ ხმამალა კონფედერაციის აუცილებლობას და ჯერჯერობით მაინც, ხელს არ აწერენ იმ კავკასიურ პაქტს, რომლის გამოქვეყნება წარმომადგენს ერთ, მნიშვნელოვანის და, უეჭველად, დადებითი ხასიათის, ეტაპის გავლას.

თქმა არ უნდა ჩვენ ყველანი მოვალენი ვართ პატივისცემით მოვეპყრათ სომხეთის ერის წარმომადგენლების ასეთს თავის შეკავებას, ვინაიდან კითხვა, საზოგადოდ, მეტად რთულია და მისი ერთბაშად გადაწყვეტა ერთობ ძნელია. რომ ეს ასეა, მას ისიც ამტკიცებს, რომ დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც სხენებული კითხვა ისე მომწიფდა, რომ შესაძლებელი გახდა კავკასიის პაქტის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომ იგი პრინციპილურად ყველასაგან, უკვე, 1924 წელს იყო მიღებული. დიდის დაგვიანებით, იტყვის თავის დროზედ მიუდგომელი ისტორია, მაგრამ იგივე ისტორია დასძენს,—სჯობს დაგვიანებით, ვიდრე არასოდეს...

კავკასიის ერთა განვლილი ცხოვრება. მათი ძველთა ძველი დამოკიდებულობა გვიჩვენებს ნათლად, რომ არაერთხელ შექმნილა ისეთი მდგომარეობა, როდესაც დასმულა საკითხი მათი შეთანხმებით მოქმედებისა, მათი დაჯგუფების და ამისათვის სათანადო სახელმწიფოებრივი ხასიათის ნაბიჯებიც ყოფილა გადადგმული. ის წარსული ცდები რასაკვირველია, შორსა სდგას იმ ხასიათის კავშირების შექმნასთან, რომელთაც თანამედროვე საზოგადოებაში ფედერაციის და კონფედერაციის სახელით არის მონათლული, მაგრამ არც იმისი თქმა შეიძლება, ვითომ ის არქაილური ცდები სრულობით ყოფილიყო მოკლებული იმ ელემენტებს და თვისებებს, რაიც მოხსენებულ სახელმწიფოებრივ წესწყობილებას ახასიათებს.

აუცილებლობით ნაკარნახევი ასეთი ცდები ხდებოდა, როგორც კავკასიის სხვადასხვა ეროვნულ ერთეულებს შორის, ისე ცალკე სახელმწიფოებრივ ორგანიზმშიც.

ქართულს ისტორიულს ლიტერატურაში ეს საგანი საკმაოდ არის გაშუქებული და, ამ ყამად, არ არის ქართული ემიგრანტული გამოცემა, რომ მისთვის სათანადო ყურადღება არ მიექციოს.

თუ განსაკუთრებით საქართველოს სახელმწიფოებრივ ისტორიას მივმართავთ. ცხადათ დავინახავთ, რომ მისი დიდების უმწვერვალეს სიმაღლის დროს, როდესაც ერთიანი და განუყოფელი საქართველო ჩნდება, უნიტარულ სახელმწიფოს სახეობით ჩამოყალიბებული ერთ მეფობის ძალაუფლებით განმტკიცებული. მაშინაც კი, ჩვენი მართველების წინაშე დგებოდა საკითხი სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხის თავისებურობის, მათი როკალური ინტერესების დაცვის. იმ ეპოქებში, როდესაც ეს ადგილობრივი თავისებურობანი და მისწრაფებანი, უცხო მტრის შთავგნებით და წაქეზებით, ან შინაური ინტრიგების წყალობით, უფრო მალა დგებოდა საერთო ინტერესებზე, სჩრდილავდა და სჩაგრავდა უკანასკნელთ და მით ერთიან სახელმწიფოს ძალებს სთიშავდა, მაშინაც კი ეს სეპარატიზმი ჩვენში არასოდეს ისე შორს არ წასულა, რომ ქართველი ერის სხვადასხვა ნაწილებს სავსებით დაეიწყნოდათ მათი კუთვნილება ერთ ეროვნულ ოჯახისადმი. საქართველოს ისტორიის შესწავლა სტოვეს შთაბეჭდილებას, რომ თვით ერთიანი სახელმწიფოს დროსაც კი, იგი ლებულობდა, თანამედროვე ტერმინალოგიით რომ ვილაპარაკოთ, ფედერატიულად შემოკრებილ ნაწილების ელფერს და როცა ერთმეფობა ადგილს უთმობდა მრავალ მეფობას და მთავართა ბატონობას, ეს დანაწილება პრაქტიკულად თითქო კონფედერაციის ხასიათს ლებულობდა. ვამბობთ ლებულობდა ელფერს და ხასიათს, რადგან ნამდვილ ფედერაციაზე, ან კონფედერაციაზე იმ დროს ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. ამ ახალი ტერმინების მითვისება იმ ისტორიულ პირობებისთვის უნდა ხდე-



ბოდეს დღეს რეზერვებით და შორი-შორიდან დაახლოვებით. ეს არც არის გასაკვირველი. რადგან ყოველი ფეოდალური მონარქია, რომლის ერთი ნიმუში საქართველო იყო, ატარებს თავის წილში შეკავშირების პრინციპს. ცნობილი მეცნიერი ფლაკი ამბობს (მომყავს ბ. რაჭველაშვილის წიგნიდან «საქ. ფეოდ. ისტორია»): «ის რაც სენიორალურ რეჟიმში ბატონობს—ესაა ინდივიდუალიზმი; ფეოდალურ სისტემაში—ესაა დაკავშირების პრინციპი. სენიორალურ რეჟიმის არსებითი ფუნქცია—ეს არის დაქსაქსვის ფუნქცია, მაშინ როდესაც ფეოდალიზმში ასეთს ფუნქციას—რეკონსტრუქცია წარმოადგენს». თვით აწინდელი ფედერაციული და კონფედერაციული სახელმწიფოებიც არ ჩამოყალიბებულან ერთბაშად; მანამ ისინი თანამედროვე ფორმებს მიიღებდენ, მრავალი ეტაპები განვლეს, ბევრს ადგრას ევოლუციონური წინსვლა ხომ დღესაც არ შეჩერებულა და დღევანდელი მათი მდგომარეობა ისე არ მიაგავს მათ წინანდელ პრიმიტიულ დაჯგუფებებს, როგორც შორს სდგას ძველი საქართველოს დაჯგუფების, თუ გაყრის ეტაპები, მაგალითად. თანამედროვე შვეიცარიის კონფედერაციულ წყობაზე.

საილუსტრაციოთ მოვიყვანთ აქ ჩვენი ისტორიიდან ორ მაგალითს. ერთი ეკუთვნის ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივთ ჩამოყალიბების დასაბამს, მეორე საქართველოს დამოუკიდებლობის ჩახვენების ხანას, მეფერამეტე მეცხრამეტე საუკუნეების საზღვარზე.

საქართველო დაყოფილია სამამასახლისოებათ. მცხეთის მამასახლისი პირველობს თანასწორთა შორის და აი რას უთვლის ფარნავაზი სამეგრელოს მფლობელს ქუჯს: «დიდძალი ხვასტავი (ფული) ვიშოვნე, ამ ფულს წამოვიღებ და ვინმართ ორთავემაო». ქუჯიმ უპასუხა: «მოდი ჩემთან, ნუ შურობ ხვასტავსა მენსა და ხვასტავითა შენითა განაზრავლენ სპანი (ჯარი) შენითა». დეე ეს ამბავი ლეგენდა იყოს; უმთავრესი ის არის, რომ იგი შექმნილია თვით ერის მიერ და გვიხატავს იმ დროინდელ ქართველების განწყობილებას, ერთად მოლაპარაკებით გადაწყვიტათ ხოლმე ფინანსური თუ სალაშქრო საკითხები. ასეთი მაგალითები, ალბად, არა ერთი გამოინახება ქართველთა ცხოვრებაში.

აი მეორე მაგალითი, უკვე უტყუარი ფაქტი, მეფე ირაკლი მეორის დროს მომხდარა. სრულიად საქართველოს თავმა კაცებმა, მეფეთა და მთავრების დასტურით და, იქნებ, სწორეთ უკანასკნელთა ინიციატივითაც, მოისურვეს ყველა ნაწილების უფრო მკიდრით შეკავშირება. ირაკლი მეორე უნდა გამხდარიყო მეფეთა-მეფეთ სრულიად საქართველოსი. წინასწარი ხელშეკრულობა დაიდო კიდევ, აღიარებული იყო ერთხმად, რომ საქართველოს თვითეული ნაწილის მტერი მიჩნეული იქნებოდა ერთიანი საქართველოს მტრად და იგი შეერთებულის ძალით უნდა ყოფილიყო დევნილი.

აქ ჩვენ უფრო ნათლად ვხედავთ იმ პრინციპების შეგნებას, რომელზედაც მოხდა შემდეგში შვეიცარიის კონფედერაციით ჩამოსახვა.

ამ სახელმწიფოს ისტორია ნათლად გვიჩვენებს,

რომ, სწორედ, თვითეული კანტონის მტრის, საერთო მტრად ცნობა, თვითეული ერთეულის თავისუფლების შეერთებულის ძალებით დაცვა და ამით სრულიად შვეიცარიის თავისუფლების უზრუნველად ყოფა, იყო ის ძლიერი სტიმული, რომელმაც შვეიცარიის ეროვნებანი, კანტონები, ე. ი. ცალკე რესპუბლიკები, მიიყვანა დღევანდელ კონფედერაციამდე.

ჩვენში ბევრი ფიქრობს, რომ ირაკლი მეორის ხანაში, თითქოს, არ არსებულა ღრმა შეგნება საქართველოს გაერთიანებისა და კიდევაც ამტყუნებენ დიდებულს მეფეს, რომ სწორედ მან არ მოინდომა საქართველოს გაერთიანებაო. ჩვენ ამ აზრისა არა ვართ. თვით ის ფაქტი, რომ მაშინ რალაც ხელშეკრულობა მაინც დაიდო, მოწმობს სწორეთ შეგნებას საქართველოს ნაწილების შეჯგუფების საქირებისას.

თუ ის შეკავშირება იმ დროს ისე არ მოხდა, როგორც ეს ჩვენ გვიჩვენა და როგორც დღეს ამას ვხედავთ იმავე შვეიცარიაში, უნდა გვახსოვდეს, რომ მეფერამეტე საუკუნეების მიწურულეებში არც შვეიცარიაში იყო უკეთესი მდგომარეობა. აქაც არსებობდა კანტონების შორის შეუთანხმობა და ერთი კანტონს მეორე კანტონზედ იარაღით მისვლა. ხდებოდა იქაც ფიცის გატეხა მოკავშირე კანტონებს შორის და მტრის მხარეზე გადასვლაც. ტერიტორიული თუ სარწმუნოებრივი საკითხების გამაბრძოლები შვეიცარიის ერებს შორის საკმაოდ ხშირი მოვლენა იყო. ომიც კი მომხდარა, რომ როდესაც შვეიცარიას ებრძოდენ, იმპერიალისტური მიზნებით, გერმანიის ძველი იმპერია, ავსტრიის ჰაბსბურგები, სავაა, იტალიის ზრახვების განსახორციელებლად. თვით საფრანგეთიც,—ამ დროს ყველა კანტონები არყოფილა ერთსულოვანი. უარესიც ხდებოდა: იმ მტრების ჯარში შვეიცარიის განთქმული მემომარნიც კი ერვიგენ და ეს ხდებოდა სათანადო კანტონების ნებართვით. მაგრამ ყველა ამან არ დაუშალა შვეიცარიის ხალხებს ფედერაციულ პრინციპზედ განზრახული ორგანიზაცია ბოლომდე მიეყვანათ და გადაქცეულიყვენ იმ, მართლაც და, თითით საჩვენებელ სახელმწიფოთ, რომელიც დღეს საერთო პატივისცემას და აღტაცებას იწვევს მთელს მსოფლიოში. რომ ასე სამშვიდობოთ მთავებუნიყო კანტონების დღევანდელი შეკავშირება, შვეიცარიამ მთელი შვიდი საუკუნე მოინდომა.

უტყუარი ფაქტია, რომ მეფე ერეკლეს დროს სოლიდარობის შეგნება უფრო მაღლა იდგა საქართველოში, ვიდრე იმ დროინდელ შვეიცარიაში.

მანამ ჩვენს იმ ეპოქის სახელმწიფო მოღვაწეთ მსჯავრს დავდებდეთ და გაავამტყუნებდეთ, სულ პირველად საჭიროა მაშინდელი ისტორიული სინამდვილის ღრმად შეგნება და შესწავლა.

თანამედროვე ევროპიელი ისტორიკოსები გვასწავლიან, რომ ისტორიული ფაქტების გახეპირება არ არის კიდევ ისტორიის ცოდნა. უკანასკნელი მონიშნავს იმ ფაქტების ახსნას და შეგნებას და არა ცარიელ კრიტიკასაო. ნუ ჩავიდებთ გულში, ვითომ ჩვენი თანამედროვე თაობები უფრო ჭკვიანი და გა-

მჭრიახნი არიან, ვიდრე ის წინანდლები, რომელნიც ძველად ისტორიას ქმნიდნო, ამბობს ვ. მარტენი (W. Martin), ავტორი შესანიშნავი წიგნის: «L' Histoire de la Suisse». თუ წინანდელი ისტორიული ამბების ისე არ მოხდა, როგორც ეს დღეს ჩვენ გვინდაო, დასძინეს იგი, სულ პირველად უნდა ვიფიქროთ, რომ სხვა ფრივ არც შეიძლებაო. როდესაც იმ ფაქტებს სავსებით შევიგნებთ, მხოლოდ და მხოლოდ შემდეგ უნდა მოხდეს გაკრიტიკებაო.

ესევე უნდა ითქვას მეფე ირაკლის საქართველოს შესახებ და თუ მართლაც შევეცდებით მივხვდეთ მას, რაც მაშინ მოხდა, იქნებ, პატარა კახი არც ისე მტყუანი გამოვიდეს. ნუ დავივიწყებთ, რომ ირაკლიმ მაშინ დიდი სახიფათო ექსპერიმენტის მოხდენა განიზრახა: რუსეთის ჩარევა ჩვენს საქმეებში. უნდა ვიფიქროთ სიფრთხილედ მოითხოვდა ამ ექსპერიმენტის ობიექტად საქართველოს მხოლოდ ერთი ნაწილი გამსდარიყო. თუ იმედები, რომელსაც რუსეთზე ამყარებდნენ გამართლებდნოდა, მაშინ და მხოლოდ მაშინ, გახდებოდა მიზანშეწონილი დასავლეთ საქართველოს ჩაყოფა იმ ექსპერიმენტში. თუ იმედი გაცრუებული დარჩებოდა, მაშინ სულ სხვა კითხვა დადგებოდა, ე. ი. რუსეთის თავიდან მოშორების პრობლემა. აი აქ იჩენდა თავს ის ხელშეკრულობის სიმტკიცე, რომელიც იმერ-ამერმა ქართველებმა დასდევს ურთიერთ შორის.

აღმოსავლეთის საქართველოს რუსეთთან ტრაქტატით დაკავშირება, მით უფრო სიმშვიდით და სიმტკიცით მოხდებოდა, რაც მეტი მშვიდობიანობა იქნებოდა თვით ქართველთა შორის. აჩქარებული და ზოგიერთი კუთხისათვის ნაძალადევი გაერთიანება საქართველოსი, მხოლოდ შეფოთს ასტეხდა ქართველთა შორის და ეს კი უთუოდ გაართულებდა იმ დიდი ექსპერიმენტის დაფიქრებით ჩატარებას, რომელსაც მეფე აწყობდა.

ამას, ალბათ, ყველაზედ ნათლად თვით მსცოვანი ირაკლი ხედავდა და, უნდა ვიფიქროთ, რომ, იქნებ, სწორედ იმიტომ დაკმაყოფილდა იგი ქართველთა შორის იმ ხელშეკრულებით, და იმაზე შორს აღარ წასულა: რომ ქართველთა შორის იმ დროს შეფოთის ატეხა არც ისე იყო მოულოდნელი, საკმაო არის გავისწნოთ სამეგრელოს მთავრის მიერ იმერეთის მეფის საწინამდებო ატეხილი დავა ლეჩხუმის მხარის-გამოსობით, ან იმერეთის ფეოდალების იერიშები სოლომონ მეფის ძალაუფლების მოსატეხათ. ყველა ამას კიდევ რომ თავი დავანებოთ, იყვნენ მაშინ სხვა ფაქტებიც, რომელიც გვიმტკიცებენ, რომ შეგნება ერთიანი საქართველოსი მართლაც ყოფილა იმ ხანაში.

მაგალითად, რუსეთთან ხელშეკრულობის დადების დროს მეფე ირაკლი, ოფიციალურად, გამოდიოდა, როგორც მხოლოდ ქართლ-კახეთის მეფე. მიუხედავად ამისა, დაღებულს «ტრაქტატისა შინა» თუ მის დამატებაში, ასეთ მუხლსა ვხვდებით თუ რუსეთის ჯარი, ბათუმისა და ფოთის ციხეებს ოსმალეთს წაართმევს, ეს ქალაქები საქართველოს უნდა დაუბრუნდესო. სწორედ საქართველოს აღნიშნული და არა გურია-სამეგრელო, ან ქართლ-კახეთი!

ასე თუ ისე, იდეა საქართველოს ცალკე ნაწილების შეკავშირებისა, ამა თუ იმ მასტაბით, საქართველოს ისტორიის მანძილზე, ყოველთვის იდეა კითხვის წესრიგში: ასეთი იყო ქართველების ისტორიული ტრადიცია.

ქართველების ასეთი მიდრეკილება, არ ისაზღვრებოდა მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ფარგლებით. ასეთი ტენდენცია და შეგნება დაკავშირების საჭიროებისა მთელი კავკასიის მასტაბითაც აღრევე იყო მიღებული საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეების მიერ. ამის თაობაზე შარშან ბ. დავით ვაჩნაძემ წაიკითხა პარიზში რამდენიმე ლექცია, რომელიც ყველასაგან ყურადღებით იყო მოსმენილი.

საქართველოს გეოგრაფიული, ეკონომიური და პოლიტიკური პირობები ბუნებრივად ქმნიდნენ დაახლოვების საჭიროებას ჩვენს მეზობლებთან, მათთან კავშირების გაბმას. მიუხედავად იმისა, რომ ბევრს შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის რელიეფი საუცხოვო პირობებს იძლევა შემოსეულ მტერთან ბრძოლისათვის, საქართველოს საზღვრების უზრუნველსაყოფათ, როგორც ამას ამჟამად ყველა ჩვენი სამხედრო ავტორიტეტები მოწმობენ, საჭიროდ ხდება მტრის შეხვედრა ისეთ სტრატეგიულს პუნქტებში, რომელნიც ჩვენი სახელმწიფოს გარეშე იმყოფებიან. რაკი ეს ადგილები უცხო სახელმწიფოებს და ერთეულებს ეკუთვნოდა, მათთან მეგობრული კავშირის გაბმა და მისი განმტკიცება, აუცილებელი ხდებოდა. ამისი მიღწევა მით უფრო იყო გაადვილებული, რომ ჩვენი მეზობლების მდგომარეობაც, დაახლოვებით, ჩვენისავე პირობებში იყო მოქცეული, ე. ი. მათი ეკონომიური ინტერესების და დამოუკიდებლობის დაცვისათვის საჭირო ხდებოდა საქართველოს ფარგლებში მყოფი სტრატეგიული პუნქტების გამოყენება. რომ სიტყვა მოკლეთ მოვიკრათ, იყო ერთგვარი შეგნება იმისი, რომ ჩვენ ერთმანეთისათვის საჭირონი ვაყავით. შეთანხმებულის მოქმედებით ჩვენს თავისუფლებას ყველა შევენარჩუნებდით, ცალ-ცალკე ვაბნევით კი დავიღუპებოდით და სხვის ხელში სათამაშო ბურთად გავსდებოდით.

ყველა დიდ ქართველ სახელმწიფო მოღვაწეს ეს კარგად ესმოდა და კეთილი ურთიერთობის დასამყარებლად სათანადო ზომებიც მიღებული ყოფილა ხოლმე. დავით აღმაშენებლიდან დაწყებული, ირაკლი მეორემდე, არა ერთხელ ყოფილა განხორციელებული, ფაქტიურად, მეგობრული დაკავშირება ჩვენ მეზობელ სახანოებთან და სახელმწიფოსთან. ჩვენი ძველთა-ძველი დროიდან დაკავშირება ჩვენს უძველეს კულტურასან მეზობელთან, — სომხეთთან, — მრავალ ფორმას ღებულობდა; ეს საყოველთაოდ არის ცნობილი.

ჩვენი დროში, თვით «ქვათა ღაღადის» ავტორი, ილია ჭავჭავაძე, რომლის წიგნი ისე ცალმხრივად იყო გაგებული და შესმენილი, თვით ეს დიდი მოღვაწე, რატომღაც სომხების მტრად აღიარებული, ზოგიერთ ჩვენი მეზობლების, სომხების მიერ, იგიც ხმამაღლა აღიარებდა, სულ პირველად სომხებთან კეთილი განწყობილების საჭიროებას და მათთან მორიგებას; თან აღნიშნავდა, რომ ეს ლტოლვა სომ-



ხებთან მეგობრობისა საქართველოს ძველი ტრადიციის არისო. ჩვენი ისტორიის გრძელს მანძილზე არ ყოფილა ისეთი ქვეშაობრივად დიდძალი მეფე და მოღვაწე, რომელიც არ ყოფილიყვნენ სომეხთ სამეფოს გაძლიერების მოტრფიალყო, იტყუადა ილია ჭავჭავაძე. საქართველოს მკვიდრი საზღვარი სამხრეთით ძლიერი სომხეთი იყო: სომხის სამეფოს დანგრევით, დაიხარა ჩვენი სამხრეთი საზღვარიც.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა აგრეთვე—ახერბაიჯანის, ერევნის, ვანჯის და ყარაბაღის სახანოებს. მათთან დამეგობრება საქართველოსთვის ძვირფასი იყო, მეტადრე მაშინ, როცა მუსულმანთა ძლიერი სახელმწიფოები დაგვეცემოდნენ ხოლმე. ცნობილია, რომ იყო ეპოქები, როდესაც ერთიან საქართველოს საზღვარი შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდეც მიდიოდა. თუ ავიღებთ ჩვენს სამეფოს უკანასკნელი დღეების ტრადიციას, ჩვენ ვხედავთ, მაგალითად, ერევნის ხანს ირაკლის მონარქეთ და მოკავშირეთ. ვანჯისა და სხვა სახანოებიც არა ერთხელ გამოსულან ან მოკავშირეთ, ან მეგობრულად განწყობილინ.

ალა მაჰმად-ხანთან ბრძოლის დროს პატარა კახი ლეკების რამდენიმე ათასეულ დამხმართ რაზმსაც კი ელოდა და თუ გადამწყვეტ მომენტში იგი საშველად არ მიდიოდა, ეს უფრო თვით ქართველების და ქართველ ბატონიშვილების ბრალი იყო, რომელთაც მსგავს უღარდლობით გაუმწარეს მოფეკმირს უკანასკნელი დღეები. ალა მაჰმადის მოკვლის შემდეგ; ახალი შაჰი, ბაბა ხანი, ემუდარებოდა ქართველებს რუსეთზე ხელი აეღოთ. საქართველოს უზრუნველ საყოფად მე თვითონ შევიწყობთ ხელს, რომ თქვენი მუსულმანი მეზობელი სახანოები დაგიკავშირდნენო. ერთი სიტყვით ცდილობდა სპარსეთსა და საქართველოს შუა საბუფერო ზონა გაეჩინა.

ეს ფაქტები, მიუხედავად იმისა, რომ კავკასიელ მეზობელთ ერთმანეთში ბრძოლებიც ჰქონიათ, საქმად მაჩვენებელია იმ გარემოების, რომ ის კავკასიურათ კონფედერაციული პაქტის პრეექტი, რომელიც მხარეების ხელმოწერით დადასტურდა ამას წინადა, არასფერს ხელოვნურს არ წარმოადგენს და დამყარებულია კავკასიის ერების ტრადიციებზე. ჩვენ ყველანი ჩვენს წარსულს ისე ნაკლებად ვიცნობთ, რომ, საუბედურათ, ყველას ნათლად არა აქვს შეგნებული კავკასიის ერების ეს ძველთა ძველი მიდრეკილება შეკავშირებასა და დაჯგუფებისაკენ. ამიტომ ხშირად ხდება, რომ სკეპტიციზმი იჩენს ხოლმე თავს არა მხოლოდ ჩვენთან მტრულად განწყობილ მხარეებს, არამედ ჩვენნივე, ე. ი. კავკასიელების წრეებიდანაც.

ბევრს ხელზე დასახვევ საბუთად აქვს ლეკების თუ სხვა მთიელების მხრივ დარბევა საქართველოს პროვინციებისა და ამავე დროს იფიწყებენ, რომ ხშირად საქართველოს ჯარშიაც მიუღიათ მონაწილეობა ლეკებსაც და იმ სხვებსაც და ერთგულად უბრძოლიათ საქართველოს დროის ქვეშ. ამნაირი შევლით ისეთი არაჩვეულებრივი არა მომხდარა რა, რასაც სხვაგანაც არა ჰქონოდეს ალაგი.

მაგალითად განთქმული შვეიცარიელების რაზ-

მები ხშირად იყვნენ ხოლმე დაქირავებულნი მოქიშვე კანტონების მიერ და, რაც უფრო გასაოცრად უნდა მოგვეჩვენოს, იმ ძლიერ უცხო სახელმწიფოების მიერაც, რომელიც ხშირად თვით შვეიცარიის წინამდევ ილაშქრებდნენ. ამ გარემოებამ ხელი არ შეუშალა მტრების მიერ ერთ დროს დაქირავებულ შვეიცარელ მოხალისეთ, შემდეგში როცა დრო დადგა და შეიგნეს, მხოლოდ და მხოლოდ შვეიცარიის თავისუფლების დასაცავად გარჯილიყვნენ და სწორედ ამ შეგნებით მოხდა კანტონების კონფედერაციულად დაკავშირება.

ჩვენი მეზობელი ლეკები და მთა, ეს, არსებითად, კავკასიის შვეიცარელი ის მოხალისენი იყვნენ. ჰკითხვით შვეიცარიელელს ასე ორ-მავათ რატომ იქცეოდნენ თქვენი მოხალისენიო, ასეთ ახსნას მიიღებთ: ჩვენ მეტად დარბი კანტონები ვართ და ერთად ერთი საექსპორტო საქონელი ის ჩვენი მოხალისენი იყვნენო. ხშირად ალბად, ეკონომიური მოსაზრებები აიძულებდნენ ხოლმე მაგ. ლეკებს ასევე მოქცეულიყვნენ: ამიტომ ხან ჩვენ გვევლოდნენ, ხან ჩვენ მტრებს.

როდესაც 1815 წელს, ვენის კონგრესზე, შვეიცარიის მაშინდელი კავშირის წარმომადგენლებიც წარსდგენ თავისი ქვეყნის ინტერესების დასაცავად, იქ, უცბად, ცალკე კანტონებს რწმუნებულებს უზორის ისეთი არეგდარევა დატრიალდა, რომ მოსალოდნელი იყო ერთიანი შვეიცარიის მისწრაფებების მთლად ჩაშლა. კონგრესმა კინალამ მეფეც კი დაუნიშნა ამ ბუნებრივ რესპუბლიკანელ მთიულებს. მიუხედავად ამისა შვეიცარლების მიერ, დაბოლოს, საერთო ენა იყო გამოძებნილი, ძველი ანგარიშები და ქიშპობა მივიწყებულა და დღეს ჩვენ უკვე ვიხილავთ ძლიერსა და მდიდარ შვეიცარიის კონფედერაციას, რომელიც მის ფარგალში შემავალ რესპუბლიკებს-კანტონებს თავდადებულ დამცველად და იმედათ ევლინება.

აი რა მაგალითებზედ უნდა მიუთითოთ ჩვენ კავკასიის რესპუბლიკების კონფედერაციის მტრებს. ჩვენი სათქმელი სულ მარტივია: თუ კავკასიის რესპუბლიკებს ჰყავთ ისეთი მტრები, რომელიც მათ თავისუფლებას ემუქრებიან, მათი მუიდროთ დაახლოვება და დაკავშირება აუცილებელია. თუ ასეთი მტერი არავინ აწუხებს, მაშინ კიდევ შეიძლება ვიფიქროთ, რომ არ არსებულა საჭიროება კონფედერაციულად შეთანხმებისათვის. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ათასს მტერს თვალი უჭირავს მდიდარს კავკასიონზედ! აღვიღად წარმოსადგენია, რა ბედი მოგველის ყველას, თუ რომ კეთილმეზობლურ დამყარების მაგიერ გაჩნდა ჩვენში დავა და ბრძოლა, წამოყენება ძველი გაუსწორებელი ანგარიშების და სხვა... დამყარდება ვითარება, როცა კავკასია გადაყლაპული იქნება რომელიმე უცხო სახელმწიფოს მიერ.

მთელი 117 წელიწადი განწირული იყო ჩვენი მხარე რუსეთის ჩასაყლაპავათ და თუ კავკასიის ერები ერთობას არ ჩამოგადებთ, კვლავაც ასე იქნება.

საბედნიეროთ კავკასიის რესპუბლიკები სდგანან რა ისტორიული ფაქტების შეგნების წინ, სულ პირ-

ველად აღიარებენ თავიანთი თავისუფლების დაცვის სურვილს. ამ თავისუფლებას ისინი უფრო მაღლა აყენებენ რასიულსა, თუ რელიგიურს სხვადასხვაობაზედ. აქ ჩვენს თვალწინ იმავე შვეიცარიის მაგალითი იშლება; იქაც, ერთ დროს, სარწმუნოებრივი, ტერიტორიული და რასიული კითხვები ისე იყო გამწვავებული, რომ, დღეს, იმ წარსული ამბების მოგონებით ამას გაიძახიან:

«ის კი არ არის გასაკვირელი, რომ ერთობის ჩამოგდების შემდეგ ჩვენ ასეთი სახელმწიფო შეექმენით, სკვირველია ეს ერთობა როგორ შეექმენით, როდესაც ამოდენა აუარებელი სადავო კითხვები გვეყოფდა ყველას. ეს სასწაული მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ ჩვენ, თავისუფლების მოყვარე კანტონებს ჩვენი დამოუკიდებლობა უფრო გვიყვარს, ვიდრე სხვა რამე და თავისუფლებას კი მხოლოდ ჩვენი ერთობით შევინარჩუნებდით».

კავკასიური პაქტის შექმნით კავკასიის რესპუბლიკებსაც სწორედ ამისი თქმა უნდა და სხვა არაფრისა. მართალია ამას ჯერ-ჯერობით მხოლოდ მთა, აზერბაიჯანი და საქართველო აცხადებს. სომხეთი კიდევ თავს იკავებს, მაგრამ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი მეოთხე მეზობელიც, დაბოლოს, იმ პოლიტიკურ პირობებში ჩადგება, როდესაც იმისი ხმაც შემოუერთდება დანაშთენებს.

გიორგი ქუთული.

შენარ მკებანეს კომპლემს

IX

დიდი სახელმწიფონი ხშირად ერთმანეთს «უმეგობრდებიან», ერთი მეორეს კავშირებით ეკვრიან. ამ კავშირების მიხანი ერთ შემთხვევაში ერთია, მეორე შემთხვევაში მეორე. ხშირად შეკავშირებულ სახელმწიფოთა მიხანია სუსტ და პატარა სახელმწიფოებზე ბატონობა, მათი თავის გავლენის ქვეშ მოქცევა. ხან სახელმწიფოთა შეკავშირებას ტერიტორიალური შეძენა, ახალი ქვეყნების დაპყრობა აქვს დასახული მიხნად. სახელმწიფოთა დაჯგუფებანი დაგროვილ წინამძღვრებებიდან გამოსავალს დრო გამოშვებით ომში ეძებენ. თუ რომელიმე სახელმწიფოს ომში ჩათრევა მოელის, ისიც მოკავშირეთა ძებნაშია, რომ ხელჩართულ ომის დროს მარტო არ დარჩეს, ომის სიძიმე მარტოდ მარტო თავს არ დაატყდეს. თუ ამა თუ იმ სახელმწიფომ ან სახელმწიფოთა ჯგუფმა, ომამდე თავის სასარგებლოთ კავშირის გარეთ მდგომნი ვერ მოიხსრო, ომის პროცესში მაინც ცდილობს დაპირებებით განზე მდგომნი გადმოიბიროს; თუ ესეც ვერ მოახერხა და თავის კომბინაციას გამდგარნი ვერ დაუკავშირა, ცდილობს მაინც, ნეიტრალური სახელმწიფო მტრის ბანაკში არ გადაბარგდეს, ნეიტრალურ პოზიციას არ გასცილდეს.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში «საღვთო კავშირის» წყალობით შესაძლებელი შეიქნა დიდ სახელმწიფოთა ბატონობა ევროპაში. მან შეარჩია მო-

ნარქიები. ერთი მეორეს გადაკიდებული დიდი სახელმწიფონი დროებით ერთმანეთს დაუკავშირდენ. შემდეგში მთელ რიგ მოვლენებმა: 1848 წლის რევოლუციამ, ფრანკურტის პარლამენტმა, ყირიმის ომმა, ომმა იტალიისამ, პოლონეთის რევოლუციამ, შუილი დასთესა ევროპიელთა შორის. ავსტრია პრუსიას გადაეკიდა. შური დაითესა ავსტრიასა და რუსეთს შორის, რუსეთსა და საფრანგეთს შორის. ლამაზად შეკაწიწებული «საღვთო კავშირი» დაინგრა, «მეგობრები» ერთმანეთს დაშორდენ. საკმაოდ დიდ დრომ განვლო, სანამ ევროპის დიპლომატიურ სამხარეულოებში პოლიტიკური თუ სამხედრო კავშირებისთვის ახალი ნიადაგი მომზადდებოდა. დიდი სახელმწიფონი ორ ჯგუფად დაიწყვენ. სახელმწიფოთა ორ ჯგუფად დაყოფა—სამთა კავშირის და სამთა შეთანხმების სახით—ერთ ხანს საერთაშორისო წონასწორობას ჰქმნიდა. წონასწორობა დაიარღვა. დიდი ომი დაიწყო და მრავალ მილიონიანი ჯარები ერთი მეორის წინამძღვრ დაირაზნენ.

ძველ დროში მეომარ სახელმწიფოთა ჯარები როდი იყო მრავალ რიცხოვანი, რამდენიმე ათი ათასეული ჯარის კაცით თუ განისაზღვრებოდა. ჯარების შეიარაღებაც იყო მეტად მარტივი. უმნიშვნელო იყო მომარაგებაც. ჯარი ნაკლებად იყო საზოგადოებასთან დაკავშირებული, ხშირად ამ უქნასკნელს მთლიან მოწყვეტილი. ალექსანდრე მაკედონელმა 12 წლის განმავლობაში მარტივი იარაღით, ცოტა რიცხოვან ჯარით მრავალი ქვეყანა დაიპყრო, ნახევარი აზია მოიარა. დიდი ალექსანდრეს ჯარი მტრის ხარჯზე იკვებებოდა. როცა ჯარს იარაღი აკლდა, მტრისგან წართმეულ იარაღს აისხამდა. ერთი ქვეყნის დაპყრობის შემდეგ სხვა ქვეყანაში გადადიოდა. მის თანამემამულეებმა არც კი იცოდენ, დიდი ალექსანდრე ვისთან ომობს, რომელ ქვეყანას იპყრობს, წინ მიიწყეს, თუ უკან ბრუნდებდა, მის ჯარს საზრდო გააჩნია, თუ შიმშილითაა ამომწყდარი. იგივე სურათია ჩინგიზ ყანის ომების დროს. ჩინგიზ ყანმა 100.000 კაცისგან შემდგარი ჯარის კაცით 1219 და 1225 წლებში დაიპყრო აუარებელი ქვეყნები, ტიბეტიდან დაწყებული კასპიის ზღვამდე და დნებრიდან დაწყებული ჩინეთის ზღვამდე. მონგოლების ჯარს და მათ მეთაურ ჩინგიზ ყანს წარმოდგენაც არ ჰქონდა იმ ქვეყნებზე, რომელთაც იპყრობდნენ. მონგოლების მოკლე ხნის საგზალი ძლივე გააჩნდა. სანოვავეს დაპყრობილი ქვეყნები აწვდიდენ. ჯარი თავის პრიმიტიულ იარაღს, მტრისგან წართმეულ იარაღზე ცვლიდა და ამ უკეთესი იარაღით მოკავშირე წინ მიიწყოდა. იმპერატორი ფრიდრიხი მეორე, ინგლისის მეფეს ატყობინებდა: მონგოლები იმ იარაღით გვეომებიან, რომელიც ქრისტიანებს წაართვეს და ჩვენდა სასირცხვილოთ დავიხოცებით ჩვენივე იარაღითო. თვით ნაპოლეონის არმიაც ათეული-ათასობით განისაზღვრებოდა. რუსეთი კი რუსეთ-იპაპონის ომის დროს შორეულ აღმოსავლეთში ორ მილიონიანი ჯარით ომობდა.

თანამედროვე ომში, მეტად რთულ პირობებში ბრძოლა უხდება რამდენიმე მილიონიან ჯარის კაცს, რამდენიმე ათეული მილიონი ადამიანიც ჯა-



რისთვის მომარაგების საქმეშია ჩაბმული. ათი ათასობით უნდა დამზადდეს ზარბაზნები, მორტირები, ტყვიისმფრქვეველები, მილიონობით ყუმბარები, ათასობით ჰაეროვანი ნაღები, ასობით წყლის ქვეშ მავალი ნაგები, უზარმაზარი დრედნოუტები, მგრინავი ტანკები და ათასი სხვა რამ. უნდა დამზადდეს ჯარის. იარაღთა, საჰმელ-სასმელის, ტანისამოსის და სხვათა, — გადაშენებული საშვალეებანი.

განსაკვივრებელი სირთულე თანამედროვე საომარ ტექნიკის ითხოვს მსუბუქ და მძიმე ინდუსტრიის ჩქარ მობილიზაციას, ითხოვს სახელმწიფოს ყველა მცხოვრებთა ძალების ეკონომიურ და მრეწველობის სიძლიერის გამოყენებას.

თანამედროვე ბრძოლები ასეულ და ათასეულ კილომეტრის მანძილზე გაჭიმული, ასეულ თუ ათასეულ კილომეტრის მანძილზე გაყოლებულ ტრანშეებით და ათასი სხვა მოვლენები უკარნახებენ არა მარტო ჯარის კაცს, არამედ მთელ მოსახლეობას მორალურ დისციპლინას, პატრიოტიზმს, მხნეობას, თავგანწირვას. თანამედროვე ომში ჯარის მასაზრდობელ ზურგის მორალურ ძალას აქვს უდიდესი მნიშვნელობა. ჯარს არ შეუძლია ხანგრძლივი ბრძოლების წარმოება, თუ ზურგის შესაძლებლობანი ჩქარა ამოიწურა. თუ ზურგი გატყდა, ფრონტიც გასკდება.

დიდი ომის დაწყებიდან, რამდენიმე თვის შემდეგ გამოირკვა, რომ პარიზში ჩასვლა არც ისე ადვილი ყოფილა. როგორც ეს გერმანიის გენერალურ შტაბს ჰქონდა წარმოდგენილი, და ეს მიუხედავად იმისა, რომ გერმანიას ისეთი დიდი ჯარი გააჩნდა, რომლის მსგავსი კაცობრიობას არ ახსოვდა. გერმანიის ჯარის მოკაზმულობა, როგორც ხარისხის, ისე რაოდენობის მხრივ საოცრებას წარმოადგენდა. ჯარის და მცხოვრებთა მორალიც იყო საუცხოვო.

ომის პირველ თვეებში აღმოჩნდა, რომ საომარ ტექნიკის გასაოცარი განვითარება და მასთან დაკავშირებული ომის მეთოდები, ომს მეტად ხანგრძლივ მოვლენად ხდის.

ბურებთან ომის დროს, ინგლისელები ბუჩქებში მიმალულ ბურებს. შრაპნელებით ბელურებსავეით ხოცავდნენ და საბრალო აფრიკელთა ხის პატარა ქოხებს იოლად ანადგურებდნენ. შრაპნელი დიდი ომის დროს მოძველებული გამოდგა.

დიდი ომი გადიქა ომად ტრანშეებში. შრაპნელი უძლური გახდა, პარაპეტები მიწასთან გაესწორებინა და ტყვიისმფრქვეველების ბუდეები გაენადგურებინა. მტრის თავდასაცავი ადგილების გასანადგურებლად მძიმე არტილერიამ სავსელ ზარბაზნები შესცვალა.

ერთ დროს ტოტლებენის რედუტები რამდენიმე კილომეტრს არ აღემატებოდა, ეს ყველას აოცებდა. თავდაცვის მოთხოვნილებამ ფრანგებს, ტრანშეები 800 კილომეტრის მანძილზე გააჭიმია, პარაპეტები ააგებინა, ტყვიისმფრქვეველებისთვის ბუდეები შეაქმნევინა, მავთულბიანი დაბრკოლებანი ააწყობინა. მტერს კიდევ მეტი დრო დასჭირდა ტყვიისმფრქვეველების დასანგრევად, ტრანშეების მიწასთან გასასწორებლად, მავთულების გასანადგურებლად, გზის გასაკაფავად და თავდასხმაზე გადასასვლელად.

დიდი ომის პროცესში, ახალ საომარ იარაღთა გამოგონება, მოწინააღმდეგეთა მსახლდობელ ზურგის გამძლეობა, მოწინააღმდეგეთა მორალი და ბევრი სხვა რამ კიდევ უფრო ხელს უწყობდა ომის ხანგრძლივობას. ომის პირველ თვეებიდანვე მართლდებოდა კიტჩენერის სიტყვები, ომი სამ წელიწადს გასტანსო. ეს სიტყვები ომის დასაწყისში არავის სჯერებდა. ომი უფრო ხანგრძლივიც შეიქნა. ვინემ კიტჩენერი მოელოდა. ხანგრძლივი ომი ითხოვდა უზარმაზარ ჯარს. მართლდებოდა დაახლოვებით, ერთ საუკუნეზე ადრე თქმულ გენ. მოროს სიტყვები: ომს მოიგებს, ვისაც მეტი ჯარი აღმოაჩნდებაო, რადგან ორივე მებრძოლ მხარეთა მხრივ დიდძალი ჯარი იხოცებოდა, მეომარ მხარეთა რეზერვებიც დღით დღე დნებოდა და ომს ბოლო არ ელებოდა, ერთი მეორეს წინააღმდეგ დაპირდაპირებულნი მოწინააღმდეგენი შეუდგნენ, განზე მყოფ ნეიტრალურ სახელმწიფოების თავის მხარეზე გადმობირებას და მათი ჯარების საშუალებით, ომის მოსაგებად, თავიანთი ჯარების გაძლიერებას.

1915 წელს აგვისტოს ნახევარში გერმანიის არტილერიამ მეტად ძლიერი, თითქმის მიუვალი კოვნოს ციხე დაანგრია. რუსეთის ჯარი პეტრობურგისკენ იხევდა. ბულგარიას დავიწყებული არ ჰქონდა, თუ 1913 წ. მისმა მოკავშირე სერბია-საბერძნეთმა ოსმალეთთან ომის დროს როგორ გაეცქვენეს, არც ის ჰქონდა დავიწყებული, თუ რუსეთმა როგორ ღვთის ანაბარა მიატოვა, მხოლოდ იმიტომ, რომ მან გაბედა კონსტანტინეპოლისკენ დაძვრა, და არც ის, რომ ლონდონის კონფერენციაზე 1913 14 წელს ინგლის-საფრანგეთმა უღალატა. კოვნოს ციხის დანგრევამ, რუსეთის ჯარის დახევამ, მისი მორალის თანდათანობითი დაცემა, გერმანიის დიპლომატიის და სამხედრო პირთა დაპირებებმა. ბულგარიის მეფე ფერდინანდს და მის მთავრობას საქმართ დიდძალი იმედები დაუთესა და გერმანიას გვერდში ამოუდგა. კარგად გაზომილ-გამოანგარიშებული იყო რუმინის და იტალიის ანტანტის გვერდში გამოქიმვაც. ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები არ იყო იძულებული, რომელიმე ხელშეკრულების ძალით, ომში ჩარეულიყო ამა თუ იმ დაჯგუფების სასარგებლოთ. ნეიტრალობის თუ ომში ჩარევის საკითხი, შეერთებულ შტატებისთვის მიზანშეწონილობის საკითხად იქცა. ამერიკა ომში მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაერეოდა, როცა დაინახავდა, რომ ომში მონაწილეობით შეერთებულ შტატების ინტერესები უკეთ იქნებოდა დაცული, ვინემ ნეიტრალობის დაცვით.

როცა დიდ ბრიტანეთმა თავისი სიძლიერე ზღვაზე გამოიყენა იმ მიზნით, რომ არ დაეშვა ამერიკის სამხედრო მიწოდება ცენტრალურ სახელმწიფოებისთვის, თვით ნეიტრალური სახელმწიფოების საშუალებითაც, ამერიკა ვაბრახდა. თვალეზიდან ცეცხლს აფრქვევდა. კიდევ 1914 წელს 5 ოქტომბერს სერი სელი სპრინგრაისი, დიდი ბრიტანეთის ელჩი ვაშინგტონში, ინგლისის მთავრობას ატყობინებდა: «ჩვენ მის (ე. ი. ამერიკის) ექსპორტს ვაბრკოლებთ და ამის ირგვლივ ამტყდარი ყვირილი დღით დღე ძლიერ-

დება. ჩვენც ალბად ასე მოვიქცეოდით. მაგრამ მალე ეს ყვირილი გადაიქცევა მრისხანებად... და ეს ყვირილი მართლაც მრისხანებად გადაიქცეოდა, რომ ინგლისის 1915 წლის მარტიდან ერთიან არ შეეცვალა თავისი პოლიტიკა, ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების ტრესტების გული არ მოეგო, არ დაეკვეთა მათთვის უზაუმანარი სამხედრო მასალა ინგლისის, საფრანგეთის და რუსეთის ჯარებისთვის და მეორე მხრივ გერმანიის ზღვის-ქვეშ მტურავ ნავეებს დიდი ზიანი არ მიეყენებიათ შეერთებულ შტატების ვაჭრობისთვის. ნეიტრალური ამერიკა ანტანტის გვერდში აღმოჩნდა. ამ დიდ მოვლენამ; საერთოდ კი ორი ათეულ სახელმწიფოთა ანტანტის სასარგებლოდ ომში ჩარევამ დიდი ომის სასწორის ბედიც ანტანტის მხარესკენ გადააქანა.

დიდ ომმა და მისმა შედეგებმა ატლანტიკის ნაპირები წინამდევგობებიდან ვერ განტვირთა. წყნარ ოკეანეს ნაპირებიც, როგორც ვნახეთ, წინამდევგობებით დაიტვირთა. შორეულ აღმოსავლეთის ომის აჩრდილს, ევროპის ომის აჩრდილი თან დაემატა.

კრიზისმა, რომელიც ეს რამდენიმე წელია რაც მძინვარებს, გამოიწვია ვაჭრობა-მრეწველობის დაცემა და ამავე დროს ზრდა სამხედრო მრეწველობის და იარაღთა ვაჭრობის. პირველში ისახება დეგრადაცია სახალხო მეურნეობის, ზრდა უმუშევრობის, ზრდა წინამდევგობათა; მეორეში ინტენსიური მზადდება ომისთვის და საერთაშორისო წინამდევგობათა გამწვავება.

საერთაშორისო წარმოება უკანასკნელ წლებში ორჯერ დაეცა. ხარჯი სამხედრო წარმოებაზე გაორკეცდა. ვაჭრობის დარგში იგივე სურათია, რაც წარმოების დარგში. იარაღის გატანა ერთი სახელმწიფოდან მეორეში გასაღწარი სისწრაფით იზრდება, საერთო საქონლის გაცვლა-გამოცვლა კი ეცემა. არიან სახელმწიფოები, რომელთაც 1932 წელს 8 ჯერ მეტი სამხედრო მასალა და იარაღი აქვთ შემოტანილი, ვინც 1931 წელს.

სახელმწიფოები ვერ ახერხებენ კრიზისის ძლევას, გამოსავალს ომში ეძებენ. ყველა მშვიდობიანობაზე ლაღადებს, ხოლო ყველა იარაღში იჭედება. წინათაც ასე ყოფილა, დღესაც ეს მეორდება. ხოლო ძველად იტყოდნენ: მშვიდობიანობა თუ გინდა, ომისთვის ემზადეო, დღეს კი, როცა ყველა ღირებულეობანი თავდაღმა დევნობა, ასე შეიძლება ითქვას: თუ ომი გინდა, ხავეზე ილაპარაკე. და მართლაც არასოდეს ისე ბოროტად არ გამოუყენებიათ სიტყვა მშვიდობიანობა, როგორც ჩვენს ეპოქაშია.

ომისთვის მზადებასთან ერთად, დიპლომატიური მუშაობაც ცხოველდება. დიდი ომის დამთავრებით, ძველი «მეგობრებიც» დაიშალნენ.

ახალი ომის მოლოდინში, ახალი დაჯგუფებები მზადდება. ზოგნი საიდუმლო თუ აშკარა კავშირებს სდებენ, ზოგნი პაქტებს ხელს აწერენ; ვინც ამ ციებ-ციხლებამში ხელშეკრულებათა დადება ვერ მოასწრო, ჯერ-ჯერობით აქტებით ან პროტოკოლებზე ხელის მოწერით კმაყოფილდება.

ი. ხალაყაია.

უცხოეთის მიმოხილვა

ომის აჩრდილი.

შეიძლება დღეს არა აჩრდილის, არამედ ნამდვილ ომის წინაშე მდგარიყო ქვეყნიერება, ერთს გარემოებას რომ არ შეეშალა ხელი: აღმოსავლეთ აფრიკაში წვიმების სეზონი ჯერ არ გათავებულა! თორემ ევროპის ეგრეთ წოდებული კონცერტის ამარა რომ დაგრჩენილიყავით, ეწენვის დარზე რომ გვეცადა, შენი მტერია, ქლეტის სეზონი, თუ არა გათავებული, თავის ზენიტში იქნებოდა.

ამის მაჩვენებელია პარიზის სამთა კონფერენცია, რომელიც არც კი დაწყებულა და ისე დაიხურა. გამოქვეყნებულ ოფიციალურ განცხადებაში მონაწილენი ამბობენ მოლაპარაკების ბაზა ვერ ვიპოვეთო. იტალიამ წარადგინა ისეთი მოთხოვნა, რომელიც მის აბისინიაზე პროტექტორატს უდრის. ინგლისმა და საფრანგეთმა დიდი დათმობები გააკეთეს, რომელიც, თუ დღეს არა, ხვალისთვის იმავე პროტექტორატს ანხორციელებდა, ერთა ლიგის სახელით! დუჩემ ეს უარყო. დაგვიანებულიაო, და მართლაც 200 ათასი ჯარი უკვე სდგას აბისინიის საზღვრებზე და უკან დახევა არც ისე ადვილია. თავიდანვე, მანამ ეს სამზადისი მხოლოდ დაწყებული იყო, ლონდონის და პარიზის მიერ ნაკლები დათმობანიც საქმარისი იყო ომის თავიდან ასაცილებლათ.

აბისინია წარმოდგენილიც არ იყო პარიზის კონფერენციაზე: მის ბედს სწყვეტდენ და ის კი არ დაისწრეს. იმავე დროს ეს ქვეყანა ერთა ლიგის წევრია და ეს ართულებს საქმეს უარბრესათ. ეწენვის პაქტის მიხედვით, როცა ერთ წევრს ესხმის მეორე წევრი ერთა ლიგისა, დანარჩენი წევრნი—სახელმწიფოები ვალდებული არიან, მიეშველონ თავდასხმის მსხვერპლს. მაგრამ ესეც სახიფათოა, რადგან ყველა არ მისდევს პაქტს და შეიძლება წევრებმა სხვადასხვა ბანაკში ამოყონ თავი, რაიცა მოასწავებს საყოველთაო ომს. ესეც არ იყოს, იტალია წინამდევია ერთა ლიგის ჩარევის, თითქმის გადაწყვეტილია, რომ თუ ჩაერია, ის გავა იქიდან, პრეცედენტები უკვე არის: იაპონია, გერმანია.

განსაკუთრებით ძნელია ინგლისის მდგომარეობა, სადაც ამას წინათ თავისუფალი პლემბისციტი მოხდა და მილიონები ეწენვის განმტკიცებას და მშვიდობიანობის საყოველთაო უზრუნველყოფას აძლევდნენ ხმას. თუ გაიხსენებთ, არჩევნები მომავალ წლის პირველ თვეებში ჟნდა მოხდეს, როგორ გნებავთ ბოლდუინის კაბინეტმა ეწენვას ანგარიში არ გაუწიოს? მაგრამ საერთაშორისო თვალსაზრისით ძალიან უხერხულ მდგომარეობაშია დიდი ბრიტანეთი. იტალიის პრესა სასტიკათ ესხმის მას თავზე, თვალთმაქცობ, ჩვენი ექსპანსიის წინამდევნი ხარ, მაშინ როდესაც დღეს-მიწის მესამედი შენ გიპყრიაო. ეს მართალია, მაგრამ ისიც არა ნაკლებ მართალია, რომ იტალიის დიპლომატია სოლიდარული იყო ინგლისის დიპლომატიის და მათი ასე უცაბედი და-



პირისპირება ცუდ შედეგებს უმზადებს ქვეყნიე-
რებას.

ამ მხრივ საფრანგეთი უარეს მდგომარეობაშია. ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა სახეიმო სიტყვები და წერილები იმის გამო, რომ იტალია-საფრანგეთის მეგობრობა აღსდგა, და ესლა გამოდის, შავმა კატამ უნდა გაირბინოს მათ შორის! ამბობენ, პარიზის კონფერენციანედ საფრანგეთი იძულებული გახდა ინგლისის მიკედლებოდა, და ეს მაშინ, როცა იმავე ლავალმა მეგობრობის პირობა დასდო მუსოლინი-თან გასულ იანვარს რომში. მეტსაც ამბობენ: ამ დარბაზობის დროს ლავალმა carte blanche მისცა მუსოლინის აბისინიის მიმართ. და ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან საფრანგეთი ჰიტლერის გერმანიის შიშით ერთგვარ მობილიზაციას ახდენს ვარეშე ძალების: იტალიის, საბჭოთა კავშირის, მცირე ანტანტის, ბალკანეთის ბლოკის.

ეს გართულება და მოსალოდნელი ომი თითქო ხელს უწყობს გერმანიის Drang nach Osten ს. მართლაც, თუ იტალია განიცდის ტერიტორიალურ სივიწროვს და კოლონიებიც უხეირო აქვს, გერმანიამ რა უნდა სთქვას, როცა ტერიტორია მარცხნივ და მარჯვნივ ჩამოსჭრეს და კარლონიებიც კი წაართვის? 65 მილიონი ხალხი და ტერიტორია ერთი მესამედით ნაკლები, ვინემ საფრანგეთისა!

ამიტომაც კიდევ, რომ ლონდონი და პარიზი აღიარებენ იტალიის ექსპანსიის კანონიერებას. მაგრამ იმის მაგიერ, რომ თავის თვალუწვდენელ კოლონიებიდან რომელიმე მათგან უთავაზონ იტალიას, აბისინიაზე მიუთითებენ! უკანასკნელის, რომის ადრინდელი და ძველი ეგვიპტის ხნის სახელმწიფოს, ბრაღი იმაშია, რომ სუსტია და ჩამორჩენილი, მაგრამ ვისი ბრაღია ეს, თუ არა დიდი სახელმწიფოების, რომელნიც უმომსევინ მას ორგვლივ და ზღვაზე გასავალიც კი ჩაუკეტეს? რამდენი ხანია, მუსოლინი მოითხოვს კოლონიების სამართლიანად განაწილებას—იტალია-გერმანიის ადრინდელი მეგობრობის ერთ-ერთი საფუძველი ესეც იყო—, და მისთვის ყური რომ ეთხოვებიათ, აბისინიის კითხვა სულაც არ დაისმებოდა.

ამრიგათ, ორი დიდი სახელმწიფო ევროპაში (იტალია, გერმანია) და ერთიც აზიაში (იაპონია) იძულებული არიან, ტერიტორიალურ სივიწროვის გამო, სხვაგან ვიღო თავის ჭარბ მოსახლეობის ბინა. ამით აიხსნება მათი მტრული განწყობილება ყენე-ვასთან, სადაც მძღარი დიდი სახელმწიფოები სიტყვით ლიბერალობენ, ხლო საქმით საზღვრების მიჯნის ერთი გოჯით გადაწყვეს სასტიკათ ეწინააღდეგებიან.

ეს წინააღმდეგობა საეჭვოა უომრათ გაჰქრეს, აკი კიდევ იარაღდებიან. თითქო დასცილიან განიარაღების კონფერენციას, რომელიც არც მოკვდა, არც ცოცხალია. კიდევ არიან აქა-იქ ოპტიმისტები, ვინც ფიქრობენ, რომ ჯერ კიდევ შეიძლება ომის აცილება. პარიზის კომუნიკეში ისიც იყო თქმული, რომ კონფერენცია შეწყდა, მაგრამ დიპლომატური გზით იქნება ცდა: აგრეთვე 4 სექტემბერს ერთა ლიგის

საბჭო შეიკრიბება ამ კითხვაზე. მაგრამ სწორეთ სექტემბრის მეორე ნახევარს თავდება წვიმების სეზონი და, მათსადამე, მხოლოდ სასწაულს შეუძლია შეაჩეროს თოფის ვაგარდნა.

კომინტერნის კონგრესი.

მოსკოვის დიდი ბატონი სტალინი დიდი ხანია სდებდა კომინტერნის კონგრესს. მაგრამ ბოლოს მაინც უნდა შეეყარა ის, რადგან მისი სექციები ერთი ალთას გაიძახის, მეორე—ბალთას და სამიშო იყო, რომ ბოლოს მთლათ დაიშლებოდენ. დიდია განსხვავება კომინტერნის ქარგონის წინეთ და ესლა. ცალკე ქვეყნის კომპარტიას ხომ თავისი თავი არ აბია, ყველაფერი მოსკოვიდან შოდის: აზრიც, ინსტრუქციებიც, ფულიც. მოსკოვი კი ძირიან-ფესვიანათ სცვლის, გარეგნულათ—რა თქმა უნდა—თავის ტაქტიკას, სტალინი ინდის თავის ფარაჯას და ფრაკში ევლინება ბურჟუაზიულ შინისტრებს. ჰკრავს მათთან პაქტებს, კავშირებს და ბრძანებას აძლევს ყველა ქვეყნის პარტიებს. შექმნან ერთი ფორნტი არა მარტო სოციალისტებთან, არამედ არასოციალისტ დემოკრატიულ პარტიებთან. ეს, რასაკვირველია, ფაშისმის და ნაზიზმის წინააღმდეგ, ნამდვილათ კი მის დიქტატურის დასაცავათ. როგორც წინეთ, ისე ესლაც მიხანი ერთია: ველიკორსიის იმპერიალიზმის დაცვა.

კომინტერნის კონგრესმა, ასე ვსთქვათ, გაზეპირებულათ შეასრულა თავისი მისია, რაც ჩასახეს დელეგატებს, ოგივე ამოსახეს, სხვაფრივ შეუძლებელიც იყო: ვის პურსას სქამ, მას უნდა უთხრა ბალიაღა. კონგრესს, რა თქმა უნდა, არ უკუუგდია «პროლეტარიატის დიქტატურა», მაგრამ ამისათვის საჭიროა ბურჟუაზიული დემოკრატია დავიცვათ, საერთო ფორნტი შევქმნათ «ერთად-ერთ სოციალისტურ სამშობლოს» მტრების წინააღმდეგ. ასე წარმოიდგინეთ, დელეგატების სიტყვებში მოკავშირე «სახელმწიფოების», როგორიცაა საფრანგეთი, ქებათა ქებაც კი განსმოდა! რამდენი ხანია მას აქეთ, როცა ამ ქვეყანას მოსკოვი ევროპის უანდარმად აცხადებდა და მის მოღვაწეთა სურათებს მოედანზე სწვავდა?

მაგრამ ნუ გგონიათ, სტალინი მართლა აპირებს მსოფლიო რევოლუციისთვის ზურგის შექცევას. როგორც ლონდონის გაზეთები იტყობინებიათ, ესლა კომპარტიის სექციები, გარდა საბჭოებისა, განაგრძობენ კომინტერნის დამნგრევ მუშაობას; მათ ერთი მანიფესტიც კი გამოუციათ; სადაც ქადაგებენ საფრანგეთის და ყველა სხვა სახელმწიფოს აფეთქებას! როგორ მოგწონთ კომინტერნი უმოსკოვოთ? ტყუილია კი არ მიანიჭა კონგრესმა ავტონომია ცალკე სექციებს, ამით სტალინი ეუბნება მსოფლიოს: ეს სხვა ქვეყნის სექციებია, მე რა შუაში ვარო!

ეს ჯამბახობა მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ მოსკოვს შემოაკვდა საფანტი, თრთის მოწოდლილ საგარეო და სამინაო კატასტროფის წინაშე და სირაქლემასავით თავს სილაში აძვრენს, ვინდლო მტერმა არ შემამჩინოსო.



ა ლ ე ძ ს ი მ დ ი ვ ა ნ ი

2 აგვისტოს ღამით ტრადიკულმა უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზდა—28 წლის ყმაწვილი—ჩვენი თანამემამულე ა. ზ. მდივანი. განსვენებული დაიბადა ცნობილ ლენინგრადის ოჯახში. უცხო ძალის მიერ საქართველოს დაპყრობის წაწვეთში იგი ჯერ კიდევ ბავშვი იყო და მშობლებთან ერთად უცხოეთში გადმოხვეწილმა ბავშვობიდანვე იგემა ემიგრანტული გაჰიგობა და სიღარიბე. მისი ოჯახის ყოფილ სიმდიდრეზე მხოლოდ ლაპარაკი ესმის, აქა იქ მის მკრთალ წაშთებსაც ხედავს. 12 წლის ბავშვი ცხოვრებას ბრძოლას უცხადებს: მას ხედავთ ქარხანაში მომუშავეს—ან ძველი ნივთების გამყიდველს; ალებულ ფულს დედას აძლევს და თავის პატარა წვლილი ოჯახის სუსტ ბიუჯეტში შეაქვს.

სწორედ ასეთ, მისთვის საშინელს, დროს საყვარელი დედა უკვდება, მის ფიზიკურ ტანჯვას—სულიერი ტანჯვაც ემატება. ასეთ მდგომარეობაში მყოფი, ოჯახის შევობარ ამერიკელს, მიყავს ინგლი-

სში და აძლევს კემბრიჯის კოლეჯში, სადაც ის რამდენიმე წელიწადს რჩება. იქ გაეცნობა ერთ მდიდარ და ცნობილ ალენ-ასტორის ოჯახს, რომლის ქალიშვილზედაც ჯვარს იწერს. აქედან იწყება მისი მომავალი ბედის ფორმის ჩამოყალიბება; სიღარიბეს ამარცხებს, მდიდარი ხდება, მისი პირადი ცხოვრება უზრუნველყოფილია, ის ამაზე აღარ ზრუნავს. მამას ავადმყოფს და თავის მახლობლებს უხვად ეხმარება, ბევრს მწარე გაჰიგობიდან იხსნის, ამას არ ჯერდება და უნდა თავის სიმდიდრეს საზოგადოებრივი დანიშნულებაც მისცეს: ეხმარება საელჩოს, კალონიის სხვადასხვა დაწესებულებებს, ხშირად აწყობს დეპუტატებთან და სხვა პოლიტიკურ პირებთან შეხვედრას საქართველოს საკითხის დასაცავად. თავის ხარჯით აგზავნის საჰაერო პირებს სხვა და სხვა კონგრესებზე, სადაც ჩვენი საკითხი ისმის. ხანდახან, თუ კი ამას საჰაერო მობილობა მოითხოვს, თითონაც მიდის.

კერძო უთანხმოების ნიადაგზე პირველ ცოლს

ეყრება. ერთი წლის შემდეგ ირთავს ბევრად უფრო მდიდარს აგალგახდა ლამაზს ბარბარა ხუტუნს. ეს შემთხვევა კიდევ უფრო მეტ საშვალეებს აძლევს ქველმოქმედების გასაფართოვებლად: ეხმარება კალენიას, ტუბერკულოზის კომიტეტს, ქართველ მხედართა ორგანიზაციას, აწესებს 15 სტიპენდიას საფრანგეთში და ბელგიაში მყოფ ქართველთ შეუძლო მოსწავლეებისათვის. ამას არ სჯერდება და შორეულ-აღმოსავლეთში მოგზაურობის დროს—მანხაიაში გაბნეულ ქართველებს აკავშირებს, მათთვის ექვს სართულიან სახლს ყიდულობს, იქაც სტიპენდიებს ნიშნავს. ამასვე შერება ხარბინში და იქაურ ქართველებს შვილებს ალსახდელადაც გაიღებს ფულს. ასეთი იყო ჯერ კიდევ იდეურად და ფიზიკურად გაუფურჩქნეულ ახალგაზდა ალ. მდიუნის ხანმოკლე, მაგრამ მისი მოქმედებით და მუშაობით მდიდარი ცხოვრება. მის საზოგადოებრივ მუშაობას ხომ ოთხი წლის ისტორიის მეტი არა აქვს! ვინ იცის კიდევ რამდენი საუკეთესო სურვილები და შემდეგში მუშაობის გეგმები თავის ქვეყნის სასარგებლოდ ჩაიტანა საფლავში?..

ქუმბარიტად, ქართველობამ დაჰკარგა ერთი თვალსაჩინო მოამაგე და მოყვარული შვილი.
მეგობარი.

ჩვენს ჩრდილ-კავკასიელ მეგობრებს

ამას წინად ტფილისის გაზეთებში ცნობა იყო დაბეჭდილი, რომ მარის სახელობის ინსტიტუტში დაასრულა ლაზური სექცია, რომელმაც ლაზებისთვის შეადგინა ანბანი (ლათინური შრიფტის მისხდენით, ხოლო განსხვავებული ეხლანდელ თურქულ ანბანისაგან). გამოსცა რამდენიმე სახელმძღვანელო ლაზებისთვის და აპირებს ლაზთა მწერლების (ბანიში მუსტაფის, ლაზურიში ისას, აბდულიში მამედასი და სხ.) ნაწარმოებთა დაბეჭდვას.

მოყავს ეს ცნობა კავკასიის მთიელთა სახალხო პარტიის ორგანოს «სევერნი კავკაზ»-ს (№ 14) და ასეთს შენიშვნას უკეთებს: «კავკასიისა და ს. ს. რ. კავშირის საზღვრებში ლაზები არ ცხოვრობენ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ თითო-ორიოა გადმოსასწავლებლს შავი ზღვის ნავთსადგურებში ჯერ კიდევ დიდ ომამდე. თურქეთის ფარგლებში კი, სადაც ლაზები კომპაქტურ მასად ცხოვრობენ, საბჭოთა მეგობარი მთავრობა ლაზებს სთვლის თურქის ერის განუკვეთელ ნაწილად. საინტერესოა ვიცოდეთ, რითია გამოწვეული საბჭოური «ლაზომაღია»? ვისთვისაა დანიშნული სააგიტაციო მაკულატურა, დაბეჭდილი ლაზურ ენაზე საბჭოურ-ლაზურ ანბანით?»

სწორედ გასაკვირია, მეტი რომ არა ითქვას, პატივცემული «სევე. კავკაზ»-ის ესეთი კითხვა და ლაზების ასე აბუჩად აგდება. რასაკვირველია, ჩვენ ოდნავად არ გვჯერა, რომ ბოლშევიკებს ამოძრავებდეთ რაიმე ეროვნული მოტივი. ადამიანები, რომელნიც საქართველოში ქართულ ეროვნებას სდევნიან, ლაზების ეროვნულ აღორძინებაზე არ იზრუნ-

ნებენ. ხოლო რა მოსახრებითაც არ უნდა იყოს გამოწვეული ბოლშევიკების მოქმედება, განა თავისთავად დასაძრანისია ლაზებისთვის სახელმძღვანელოების დაბეჭდვა (ნორმალურ პირობებში ეს უნდა მომხდარიყო ქართულის ანბანის საშუალებით)? ლაზები დიდი ისტორიის და კულტურის ერია და მას სხვებზე არანაკლებ უფლება აქვთ თავისი ეროვნება დაიცვან. ლაზები საქართველოშიც უძველეს დროიდანვე არიან გაფანტულნი საკმაოდ და თვით თურქეთში, სადაც ისინი უმთავრესად ცხოვრობენ, მათ შეუძლიათ შეინარჩუნონ თავიანთი ეროვნულ-კულტურული სახე. თურქეთში ბერძენიც ბინადრობენ, რომლებიც არ ჰკარგავენ ბერძულ ეროვნებას. ლაზები თურქეთის ეროვნული მოქალაქენი არიან. მაგრამ ეს არ უკრძალავს მათ ილაპარაკონ დედა-ენაზე, იკითხონ საკუთარ მწერლების ნაწერები.

ვკითხავთ ჩვენს მეგობარ ჩრდილ-კავკასიელებს: თქვენ, რომელთაც ასე გიყვართ თქვენი ეროვნება, რატომ მიგაჩნიათ დანაშაულად, რომ ლაზებსაც აგრეთვე უყვარდეთ თავიანთი ეროვნება?

—ა.

ოფისის გარშემო
(განმარტების სახით)

«სოც. აზრში» მოთავსებულია წერილი საბჭოსა და ოფისის შესახებ ივლიანეს ხელმოწერით. თუ არ ვცდები, ეს ივლიანე უნდა იყოს საკმაოდ დაახლოვებული პირი წინანდელ საელჩოსთან და უშუალო მოწამე დღევანდელი ოფისის დაარსებისა; ამიტომ კარგად უნდა იცნობდეს ყველა იმ საკითხებს, რომელნიც დღეს კოლონიას ორ ბანაკად ყოფენ საბჭოსა და ოფისის გამო ატეხილ დავაში; სამწუხაროდ მისი წერილიდან ეს არ ჩანს, საგანი მისთვისაც არ ყოფილა გარკვეული.

საკითხი კი სრულიად მარტივია: რა არის საბჭო, რა არის ოფისი? საბჭო ვახლავთ საზოგადოებრივი ორგანიზაცია სოციალურ-კულტურულ და ეკონომიური ხასიათის, მისი არჩევა და არსებობა, როგორც ყოველი თანაბარი ორგანიზაციის, ექვემდებარება კანონმდებლობის მიერ განსაზღვრულ წეს და რეგლამენტს. მას აქვს აუცილებლად თავის სტატუსტი, სადაც აღნიშნულია მიზანი და მიზნის მისაღწევი სამოქმედო ფორმები; ასეთმა ორგანიზაციამ რომ იარსებოს და იმუშაოს, აუცილებელია რომ მისი სტატუსტი (წესდება) ხელისუფლებამ მიიღოს და დაამტკიცოს... ოფისი კი სულ სხვაა, მისი დაარსება და მუშაობა ექვემდებარება არა რომელსამე წესს კანონმდებლობით ჩამოყალიბებულს, არამედ სურვილს იმ ქვეყნის ხელისუფლების ორგანოებისას, სადაც ასეთი დაწესებულება იქნება და ამ ორგანოს (ოფისის) არსებობა ისაზღვრება იმ საპიროვნებით, რაც ადგილობრივ ხელისუფლებისათვის თვალსაჩინოა. იგი არის სრულიად სპეციალური დაწესებულება, რომლის წარმოშობა უპრეცედენტოა და გამოწვეულია განკერძოებული. არსებობს პირობებით. რაში გამოიხატება ეს განკერძოებული პი-

რობები? ქართველ ლტოლვილებს არ აქვთ სამშობლო. ეს ნიშნავს მას, რომ ისინი მოკლებული არიან თავიანთ ქვეყნის პროტექციას (მფარველობას)—რომელები ასეთებს უძახდნენ homo sacer—, გერმანელთა ახალ უფლებებაში ისინი იწოდებოდნენ Heimatlos-ად. ორივე შემთხვევაში ისინი უფლები იყვნენ, როგორც კანონის გარეშე მდგომნი. ეს იყო სახელმწიფოს შინაური უფლების საქმე. დღეს კი დევნილთა და უსამშობლოთა საკითხი გამოცხადებულია საერთაშორისო საკითხად; ამ უკანასკნელის შედეგია, რომ დღევანდელი პოლიტიკური დევნილი და უსამშობლო ღებულობს პროტექციას იმ ქვეყნისას, სადაც დევნილი ბინადრდება და ხდება ობიექტი ამავე ქვეყნის უფლების. ახალმა საერთაშორისო უფლებამ (ვერსალის ზავი) კიდევ უფრო გააფართოვა ეს შემეცნება. აქედან გამომდინარეობს შემდეგი: ჩვენ,— ჩვენ ქვეყანაში უცხო უფში ძალით უფლება აყრილნი და ჩვენი ქვეყნის პროტექციას მოკლებულნი,— ვსდგებით საფრანგეთის პროტექციის და უფლების მფარველობის ქვეშ.—შეგვიძლია ცხოვრება, მუშაობა, თუ საქირთა ჩივილი, თავის დაცვა, დაქორწინება, გაყრა და სხვა. ერთი სიტყვით, ჩვენ გვაქვს ჩვენი მოქალაქეობრივი სახე, რომელიც ყველა ზემო აღნიშნულ შემთხვევებში უნდა გამოვაჩინოთ; ვინ უნდა გამოგვაჩენოს, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ეს ჩვენი მოქალაქეობრივი სახე? მაგალითად ვინ უნდა დაამტკიცოს ჩვენი დაბადების თუ ხნოვანობის აქტი—ან ის, რომ ესა თუ ის პირი უცოლოა ან ცოლიანი და ბევრი სხვა ამისთანაები? ჩვენ ხომ მოკლებულნი ვართ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლობას, რომელიც ერთად ერთი კომპეტენტური დაწესებულებაა ასეთ შემთხვევებში? გამოდგება ამისათვის ლტოლვილების რომელიმე საბჭო ან კომიტეტი? რასაკვირველია არა და სწორედ ამით აიხსნება, რომ საფრანგეთის მთავრობამ ჩვენ შეგვიქნა განსაკუთრებული დაწესებულება,—ოფისი ქართველ ლტოლვილთათვის.

ასეთ დაწესებულებას მთავრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ენდობა, თუ მის ხელმძღვანელად არიან მთავრობისათვის ცნობილი პირები, რომელთაც საფრანგეთის ხელასუფლება წლების განმავლობაში იცნობდა და ნდობით უცქეროდა.

მაშასადამე ოფისის არსებობა არის უმთავრესად ნდობის საკითხი და ეს სიტყვა მრავალჯერ იყო განმეორებული და ქალაქდმენ დაწერილი ჩვენდამი მმართველთაში საგარეო სამინისტროს მიერ. მაშასადამე ოფისი მოგვცა სამინისტრომ და ის მიიღო მან იმავე შემადგენლობით, როგორც იყო საქართველოს საელჩო, რომლის წევრებსაც ის იცნობდა 14 წლის განმავლობაში. ოფისის არჩევა შეეძლო ლტოლვილებს ან უკეთ რომ ვსთქვათ ქართველ კალონიას? არა, მაგალითად აიტოვი—რუსეთის ყოფილი გენერალური კონსული, დირექტორი რუსის ოფისის—გადაიცვალა უკვე ოთხი წელია, მისი თანამემწე კონსული კანდალიოვი დღესაც აწერს ხელს, როგორც Directeur adjoint. ახალი დირექტორის ამრჩევი ორგანო არ არის და არც შეიძლება იქნეს... რასაკვირველია ეს ცუდია, მაგრამ სანუგეშო ის

არის, რომ არც ჩვენ და არც აქაურ ხელისუფლებას არ მიგვაჩნია ასეთი ჩვენი მდგომარეობა მუდმივად; ადრე იქნება თუ გვიან, ამ მდგომარეობას ბოლო მოეღება და ჩვენც ისევ ჩვენ ქვეყანას დაუბრუნდებით. სხვადასხვა კომიტეტები კიდევ იარსებებენ, თუ აქ ქართველები დარჩენ, მაგრამ ოფისის საქირთობა აღარ იქნება და აი სწორედ ამაშია მისი დროებითი და სპეციალური არსებობის ხასიათი... მაშასადამე, რამდენათაც ოფისი კალონიის მიერ ვერ იქნება არჩეული, იმდენად ეს უკანასკნელი ვერ გამოდგება მისი უფლების წყაროდ; ყველა დირექტივებს და რჩევებს ოფისს აძლევენ აქაური ხელისუფლების ორგანოები, რომლებზედაც არის დამოკიდებული მისი არსებობის თუ არ არსებობის საკითხი. ამნაირად ოფისი არის ადმინისტრაციული დაწესებულება აქაური სამინისტროების,—შინაგან და გარეშე საქმეთა,—შექმნილი მათი და ჩვენი საქირთობისათვის. იგი არის ორგანო ლტოლვილებისათვის და არა ლტოლვილების ორგანო. ამ სიტყვების მნიშვნელობა ვისაც ესმის, მისთვის ნათელი უნდა იყოს, თუ რაში გამოიხატება ოფისის განსხვავება სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებიდან...

რუსებს აქვთ ოფისი და ამავე დროს ლტოლვილთა კომიტეტი. ჩვენს სინამდვილეში რომ გადმოვიტანოთ—ეს ის არის რაც ჩვენ გვაქვს ოფისი და კალონიის გამგეობა.

საქირთა კიდევ სხვა ორგანოს არჩევა? მე ვფიქრობ, რომ არა. თუ ოფისს დასჯირდება დახმარება ქართველ ლტოლვილთა იურიდიულ მდგომარეობის განმტკიცების და მათთვის შესაფერ სტატუტის მოპოვების საქმეში, ამაზე, ჩემის აზრით, ჯერ-ჯერობით უნდა იზრუნონ ოფისის დირექტორთან ერთად ყოფილმა ელჩმა და კალონიის თავმჯდომარემ. ყოფილ ელჩს აქვს კავშირები და ნდობა ადგილობრივ ხელისუფლების წრეებში; კალონიის თავმჯდომარე აღუქრვილია ქართველ ლტოლვილთა ნდობით. ეს პირები ამა თუ იმ საქირთების დროს შექმნიან სათანადო კომისიას ყოფილი ელჩის თავმჯდომარეობით, მიიწვევენ საკითხის ყოველმხრივ შესასწავლად და გამოსარკვევად შესაფერ სპეციალისტებს და გადადამენ სათანადო ნაბიჯებს, ვის წინაშეც ჯერ არს.

ვიმეორებ, რომ ოფისია აპოლიტიკური, ადმინისტრაციული ორგანო, დაარსებული ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ქართველ ლტოლვილთათვის და არა რომელიმე პოლიტიკური პარტიის თუ დაჯგუფების ორგანო, როგორც ამას გაიძახიან პარტიული ჟინით შეპყრობილი ზოგიერთი უპასუხისმგებლო პირები.

დასასრულ ერთი კითხვა მინდა დაუსვა ბ-ნ ივლიანეს: რისთვის არის ოფისი ხელმიუწდომელი ბევრისათვის? ან რა შეიცვალა პოლიტიკურ ჯგუფებსა და მათ ურთიერთშორის განწყობილებაში მას აქვთ, რაც საელჩო მოისპო? ყოფილა რომელიმე შემთხვევა, რომ მე, რომელიც განვაგებდი საელჩოს ადმინისტრაციულ მხარეს, მემოქმედნოს ლტოლვილებისადმი დამოკიდებულებაში პოლიტიკურ-პარტიულ რწმენის მიხედვით? არ მგონია, რომ რომელიმე ქართველმა, რა პოლიტიკურ დაჯგუფებასაც



ის არ უნდა ეკუთვნოდეს, აღიაროს სინდისის წინა-
შე ასეთი რამე და როდესაც ამას ლაპარაკობს ისე-
თი პირი, რომელიც კარგად უნდა იყოს ჩახედული
საელჩოს წარსულ მუშაობაში, რა მეთქმის მის მეთი,
თუ არა «O tempora, o mores»...

ს. ხახთანი.

წერილი ამერიკიდან

კომუნისტურ ინტერნაციონალის მეშვიდე კონ-
გრესის სხდომებმა თვალები აუხილეს აქაურ მთა-
ვრობას კომუნისტების მოქმედების შესახებ შეერ-
თებულ შტატებში. ჯერ კონგრესის თავმჯდომეა-
რის გერმანელ ვ. პეკის მოხსენებამ და მერე ე. ბრ-
ვიკელ დელეგატის დარსის სიტყვებმა კომუნისტე-
ბის მოღვაწეობაზე ამერიკაში დაარწმუნა ვაშინგ-
ტონი, რომ კრემლის მთავრობის მოცემულ დაპი-
რებას (მაქსიმე ფინკენშტინის ხელმოწერით საბ-
ჭოების ცნობის დროს, ნოემბრის 1933 წ.) საბჭოებ-
მა შეერთებულ შტატების წინამდევ არ იმოქმე-
დონ, — არავითარი ფასი არ აქვს.

ამერიკის შეერთებულ შტატების კომუნისტებმა
დაიკვებეს მოსკოვის კონგრესზე თავიანთ მუშაობის
ნაყოფი შეერთებულ შტატებში. განაცხადეს, რომ
1930 წელში მათ ყავდათ მხოლოდ ათი ათასი წევრი,
მათ შორის 10 პროც. ამერიკაში დაბადებული. ახ-
ლა კი ოც და ათი ათასი გვყავს, მათ შორის 40
პროც. ამერიკელ-დაბადებული. შავკანიანების რი-
ცხვმა 100 დან 2500 მდე გაიზარდა. მკითხველი ხე-
დავს, რომ ამერიკელ კომუნისტებს ბევრი საქა-
დი არა აქვთ რა, რადგან შეერთებულ შტატებში
ას ოც და ათი მილიონ სულზე მეტია და ამ უმაგალი-
თო დებრების დროს კომუნისტებს სუთი წლის გა-
ნმავლობაში მხოლოდ ოცი ათასი გაჰყვრებული და
უგუნური მოუგიათ (ალბად, როგორც ვიცით კო-
მუნისტების ციფრები, — ესეც გადაჭარბებული იქ-
ნება).

ამერიკის დელეგატებმა ისიც განაცხადეს, რომ
ყველა გაფიცვებს ჩვენ უდევით სათავეშია. განსა-
კუთრებულად მოიხსენიეს შარშან კალიფორნიაში
მომხდარი გაფიცვები, რომელიც კომუნისტებმა
სამარცხინო წააგებეს მუშებს (იხ. ჩვენი წერილი
«დამ. საქ.» № 106). დელეგატმა ს. დარსიმ ისეც და-
უმატა, რომ მომავალ სექტემბერში გემის დამტვი-
რთველ მუშების ხელშეკრულება თავდება და დიდი
გაფიცვებისთვის ვემზადებით. ურჩია კონგრესს,
რომ კომიტეტმა მოუწყოს დახმარება ამ გამძვი-
ველთა...

გაზეთების ცნობებით, აქაური მთავრობა ამზა-
დებს პროტესტს, რომელიც იქნება დამყარებული
იმ მოსახრებაზე, რომ ხელშეკრულობის დაპირების
დარღვევა, რადგან ამერიკელ კომუნისტებს ნება
მიეცათ მიიღონ მონაწილეობა მესამე ინტერნაციო-
ნალის ყრილობაში საბჭოების მიწაზე. პირობების
დარღვევა ისიც, რომ ნება მიეცათ ამერიკელ და
სხვა ერების კომუნისტ დელეგატებს, მოუწოდონ

ამერიკის კომუნისტურ პარტიას, დასთესოს უკმა-
ყოფილება ამერიკის მუშებშია.


ეს პროტესტი, გაზეთების ცნობით, გამოცხადე-
ბული იქნება მაშინ, როცა კონგრესი გაათავებს თა-
ვის სხდომებს. მანამდის კი მთავრობის ელჩი ვ. ბუ-
ლოტიტი ცნობებს აწვდის თავის მთავრობას მოს-
კოვის კონგრესის საქმის ვითარებაზე...

ამ დღეებში აქაურმა გაზეთებმა მოთავსეს სუ-
რათი და ინტერვიუ რუსეთიდან ახლად დაბრუნე-
ბულ ამერიკელ კომუნისტის კ. ი. ჰენდრიკის. ორი
წლის წინედ აქ შვიდ კომუნისტს მიესაჯათ ციხე
პოლიციელის მოკვლისთვის მუშების გაფიცვების
დროს, არეულობაში. ამის მონაწილე ჰენდრიკმა
მოახერხა ციხიდან გაქცევა. თურმე ის რუსეთში ჩა-
სულა. რამდენიმე ხანი იქ უცხოვრია. ახლა თვითონ
თავის ნებით დაბრუნებულა. თავის ციხეში მივიდა
და განაცხადა, რომ მას ურჩევნია აქ ციხეში ჯდომა,
ვიდრე კომუნისტების რეჟიმში აუტანელი ცხოვ-
რება.

რუსების თქმულება: «ერთ კაპეიკიანმა სანთე-
ლმა მთელი მოსკოვი გადაწვა»-ო. თურმე დედაკაცს
სანთელი დაუნთია ხატის წინაშე; როცა სანთელი
დაიწვა, ცეცხლი მოკიდებია ხატს, კედელს, სახლს...
ქარი ჰქროდა, ცეცხლი ერთი სახლიდან მეორეზე
გადასულა და ბოლოს მთელი მოსკოვი გადაუბუ-
გავს... რუსეთში ყველაფერი შესაძლებელია; ვინ
იცის, შეიძლება ეს მართალიც იყოს და შეიძლება,
ასეთმა პატარა საბაბმა, პატარა მოვლენამ როდისმე
ახლანდელი მოსკოვიც გაწმინდოს მისი დღევან-
დელ მმართველებისგან.

მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ შედარებით ასეთი
პატარა, უმნიშვნელო ინციდენტი შეერთებულ შტა-
ტებს და მის მთავრობას შეარყევდა: ოთხმა ქათამმა
დააზიანა პრეზიდენტ რუზველტის «ნაციონალურ
რეკონსტრუქციის აქტი» (ეროვნულ აღდგენის აქ-
ტი).

მოგესხნებათ, რომ პრეზიდენტის აქტი დიდი
ამბით გამოქვეყნდა ივნისის 1934 წელს, რომელიც
კონგრესმა დაამტკიცა და რომლისაგან მოელოდნენ
ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას. ფიქრობდნენ, რომ
ეს იქნებოდა დებრების პანაცეა და სხვა (იხ. ჩვენი
წერილი «დამ. საქ.» № 106). დაიწერა აუარებელი
კოდექსი (ოთხასზე მეტი) სხვადასხვა დარგისთვის.
მთელი შეერთებულ შტატების მოსახლეობა თით-
ქმის ორად გაიყა: მომხრენი და მოწინააღმდეგენი.
მაგრამ ორივე მხარე ემორჩილებოდა კანონს. რასა-
კვირველია, იყვნენ კანონის ურჩებიც, რომელთაც
სასამართლო სჯიდა. ხანდახან კურონებიც ხდებო-
და. მაგალითად, ერთი პატარა მკერავი ოცდაათი
დღით ციხეში ჩასვეს მხოლოდ იმიტომ, რომ ტანი-
სამოსის გაუთოვებაში 35 სენტი აიღო ორმოცის
მაგივრად. ალბად ვაჭრობის ისტორიაში ეს პირვე-
ლი მაგალითია, რომ ვინმე დასჯილიყა ნაკლებ ფა-
სის აღებისთვის... ასე თუ ისე, ამ კანონს მთელი შე-
ერთებული შტატები ემორჩილებოდა და არა ერთი
უცხო ქვეყანა აპირებოდა მიბაძვას. მაგრამ 4 ქათამ-
მა ეს კანონი უკანონოდ გამოაცხადა. აი როგორ მო-



ხდა ეს. 20 ივნისი, 1934 წ. ნიუორკში მყოფ ქათმების მოვაჭრემ ვილაც შესტერმა ქათმები მიყიდა ქათმების გადამყიდველს, გვარად ვაგშოლს. უკანასკნელმა ყიდვის დროს დაიწუნა ოთხი ქათამი, გამყიდველი შესტერი დაეთანხმა და კარგი ქათმებით შეუცვალა. აი ამით თურმე ორივემ «ქათმების გაყიდვის კოდექსის» პირველი დამეორე მუხლები დაარღვიეს.

პირველი მუხლი ამბობს: «გამყიდველმა ქათამი უნდა გამოიყვანოს საქათმიდან (ან გალიიდან) განურჩევლად, რომელიც კი მოხვდება ხელში». მეორე მუხლი ამბობს: «მყიდველმა უნდა მიიღოს ქათმები ასე გამოყვანილი, განურჩევლად». ამ უმნიშვნელო ინციდენტმა როგორღაც მთავრობის მოხელის ყურამდე მიიღწია, შესტერი შეიპყრო და მისი საქმე სასამართლოს გადასცა. შესტერმა საქმე წააგო. მაგრამ საქმე უმალღეს შეერთებულ შტატების სასამართლოში გადაიტანა, რომელიც შესდგება ცხრა კაცისაგან და რომლის სხდომები ვაშინგტონში ხდება. ეს არის უზენაესი ისტანცია. აქ საქმე გაირჩა «ნაციონალურ რეკონსტრუქციის აქტის» სათავეში მდგარ, მთავრობის წარმომადგენელის ბ. რიჩბერგის თანდასწრებით. უმალღესმა სასამართლომ ცნობილ მსაჯულ ჰიუზის თავმჯდომარეობით (საპრეზიდენტო კანდიდატად ყოფილი, რამდენსამე წელს სავარეო მინისტრად იყო) ერთხმად დაადგინა, რომ მთავრობის მოქმედება არაკონსტიტუციონურია, რომ მთავრობას ნება არა აქვს, უკარნახოს შესტერს როგორ გამოიყვანოს საქათმიდან ქათამი. სასამართლოს დადგენილება ემყარებოდა ორ მოსაზრებაზე: 1. კონგრესმა მიანიჭა უფლება მოვაჭრე და მრეწველ ჯგუფებს «ნაციონალურ რეკონსტრუქციის აქტის» კოდექსების ძალით შეიმუშაონ კანონები თავის წარმოებაში. «ასეთი მინიჭება კანონმდებლობის ძალისა ყოველად უცნობია ჩვენი კანონისთვის და შეუფერებელია კონგრესისთვის კონსტიტუციის ძალით». 2. «კონგრესს არ შეუძლია მიანიჭოს კანონმდებლობის ძალა პრეზიდენტს, რომ მან გამოსცეს ისეთი კანონები, რომელნიც ზღუდავენ ან აფართოვებენ ვაჭრობას და ინდუსტრიასო. და ამიტომ ბ. შესტერი თავისუფალი იყო თავის ქათმების გაყიდვაში».

ეს დადგენილება მენივით გავარდა და შეერთებულ შტატების ყოველ კუთხეს მიწვდა. გამოიწვია მითქმა მოთქმა. მუშათა მართველ წრეებმა განაცხადეს, რომ მუშები არ დათმობენ მოპოვებულ პრივილეგიებსო და სხვა...

რომ ამ დადგენილებას დიდი არეულობა არ გამოეწვია, კონგრესმა სწრაფად გააგრძელა უკვე ვადა გათავებული კანონი კიდევ ათი თვით, ე. ი. მომავალ აპრილამდე.

აზრთა სპეკულაცია ხდება ამ უმალღეს სასამართლოს დადგენილების გარშემო. ერთნი იცავენ იმ აზრს, რომ «ერთგულ ალორძინების აქტი» სასარგებლოა ერისთვის და მხოლოდ უზენაეს სასამართლოს განაჩენმა ხელი შეუშალა პრეზიდენტსო. ამიტომ პრეზიდენტი რუზველტი გამოდის პროგრესისთვის მებრძოლიო.

მეორენი (რესპუბლიკანელები და მათი მიმყო-

ლინი) ამბობენ—პრეზიდენტ რუზველტის აქტი არამც თუ უკანონოა, არამედ ალორძინების ხელის შემშლელია და სანამ ამ აქტს ძალა აქვს, შეერთებული შტატები დეპრესიიდან ვერ გამოვალა.

ამ ორ ბანაკთა ძალის აწონდაწონვა და შედეგების წინასწარმეტყველობა მხოლოდ სავარაუდო ლაპარაკი იქნებოდა, რადგან ორსავე მხარეს დიდი ძალა აქვს და მხოლოდ მომავალი დაამტკიცებს, ვისი აზრითიაა მართალი.

ნაურო.

ქართველები სავანებში

საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაციის გამგეობა, 1 სექტემბერს 1935 წელს, ნაშუადღევს 3 ნახევარ საათზე—1924 წლის—ავგისტოს აჯანყების მეთერთმეტე წლის თავზე,—ალიანს ფრანსესის დარბაზში, ბულვარ რასპაი 101, მართაჟს ასოციაციის საჯარო სხდომას სამშობლოსათვის თავდაცბულთა ხსოვნის აღსანიშნავად.

ქართველები ბელგიაში

ბრიუსელის ფრიად გავრცელებულ გაზეთ «Martin»-ში იბეჭდება ირ. ცაგურისაი საინტერესო წერილები სახელად Les problèmes du Caucase. ავტორი არკვევს კავკასიის კონფედერაციის მნიშვნელობას კერძოდ საქართველოსთვის და საერთოდ ყველა ნაწილებისთვის და აცნობს მკითხველებს კავკასიელ ერების ურთიერთობას წარსულში. ენება ამასთანავე თურქეთის პოლიტიკას და ვრცლად ჩერდება რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულებაზე. წერილებს დართული აქვს რამდენიმე სურათი. ეტყობა გაზეთის რედაქცია ყურადღებით მოპყრობია წერილებს და თვალსაჩინო ადგილს უთმობს მათ.

ლუვენის უნივერსიტეტის სტუდენტმა ჩვენმა თანამემამულე ირაკლი ივანეს ძე ჯაფარიძემ, როგორც ამას აღნიშნავენ ბელგიის გაზეთები, უმალესი წარჩინებით ჩააბარა სამართლის დაქტორატის გამოცდები და პირველი ადგილი დაიკავა მის ამხანაგთა შორის.

ქართველები ხაბინში

ქართველთა საზოგადოება მანჯურიაში წელს ნოემბერში დღესასწაულობს თავის არსებობის 30 წლის თავს. ამის აღსანიშნავად, სხვათა შორის, გამოცემული იქნება საიუბილეო წიგნი, რომელშიაც მოთავსებული იქნება საზოგადოების ისტორია. საქართველოს მოკლე ისტორიული მიმოხილვა, მისი კულტურა და ეკონომიკა, დართული ექნება სურათები ქართველ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა და საქართველოს პეისაყები. წიგნის მიზანია, ქართული საქმის პროპაგანდა გასწიოს შორეულ აღმოსავლეთში. გამომცემლებს განუზრახავთ, წიგნი დაიბეჭდოს რუსულად, რადგან ფიქრობენ, რომ უფრო ფართოდ გავრცელდება, და თვით იაპონელთა შორისაც ბევრია რუსულის მცოდნეო.